# ახალგაზრდა ივერიელი

№19 (11077) 20 – 26 ოქტომბერი 1997 წელი ფასი 40 თეთრი (თბილისის გარეთ 45 თეთრი)


## საოცარი ექსპერიმენტი – ადამიანის გაახალგაზრდავება



პარაფსიქოლოგიური გრაფები

გვ. 6

## კვირის სუპერფრაზები

### ორშაბათიდან ორშაბათამდე

„მე მაქვს საკმაოდ დიდი ეჭვი, რომ ზვიადისტების უკან ვიღაც დგას, რომელიც მართავს ამ პროცესებს შეიძლება იგი მართავს სწორედ ზვიადისტების, სამართალდამცავებისა და ჯაბა იოსელიანი აღზევების პროცესებს".

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია,**
პარლამენტარი.

„ვახტანგ რჩეულიშვილი „ჰეროსტატეს დიდებით" შეპყრობილ პიროვნებათა რიგს განეკუთვნება. უფრო სწორად, იმ ამპარტავან პოლიტიკოსთა რიგს, რომელთაც შეუძლიათ ყველაფერი საკუთარი სახელის დამკვიდრების სამსხვერპლოზე მიიტანონ".

**ხათუნა ხოფერია,**
პარლამენტარი.

„საქართველოში მოსახლეობის 1 პროცენტი უკეთესად ცხოვრობს. ვიდრე ცხოვრობდა... აჰა, ვთქვათ, 10 პროცენტი კმაყოფილია. 20 პროცენტამდე მოსახლეობისათვის ასატანია ცხოვრება. 80 პროცენტი მოსახლეობისათვის ხომ ცხოვრება უარესი გახდა. აქედან 50 პროცენტამდე კი გაუსაძლისის სფერო ჰქვია ესაა ლია სამოქალაქო, საკონცენტრაციო ბანაკი, რომელშიც სიკვდილის უფლება აქვთ, დამარხვის პრობლემებისა, — რა მოგახსენოთ..."

**ვახტანგ გოგუაძე.**
პარლამენტარი.

„სოხუმის დაბრუნებას ეს ხელისუფლება ვერ შეძლებს. მე მომხრე ვარ არჩევნების საშუალებით ხელისუფლების შეცვლის. მე შევარდნაძე არა ვარ და არც მისი მეგობრები, რომ გადატრიალება მოვაწყო".

**აკაკი ასათიანი,**
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმის „მამამთავარი" თენგიზის ჯინჯოლავა „ბეწვზე გადაურჩა" დიდ ხარჯს და მისი ხელდასმით რეფორმირებულ საავადმყოფოში უფასოდ იმკურნალა.



გვ. 8

## უფასოა, მაგრამ... ფასიანია!

## საიმედო უიმედობა თუ?



ანუ





გვ. 4

ხლართები

პროკურორ ქურდაძის მკვლელობის საქმეში

ახალგაზრდა ივერიელი
გამოდის 1921 წლიდან.
დამფუძნებელია გაზეთის კოლექტივი.

დირექტორი
მერაბ ბალარჯიშვილი
რედაქტორი
გიგლა გოგეჩია
რედაქტორის მოადგილე
რუსუდან ლებანიძე
პასუხისმგებელი მდივანი
ნუკრი ბერიძე

განყოფილებები:
საპოლიტიკო – დავით ცაზარეიშვილი, თამარ ოთიაშვილი, ნონა ბურნაძე.
ინფორმაციისა და სოციალური საკითხების – ნინო ლურსმანაშვილი, მარინე ლონაძე.
ეკონომიკის – ნატა სალუქვაძე.
კრიმინალის – ია მაჭავარიანი, მაია სალირაშვილი.
საზოგადოების – მაია თუნგია, ბრიგიტა შიუკაშვილი.
კულტურის – მიმოზა კვირკვია.
სპორტის – გია ტუხაშვილი
მენეჯერი – ლალი ხმიადაშვილი
რეკლამა-განცხადებების – ჯულიეტა ონიანი.
ფოტო-ილუსტრაციის – ჯავარ ლომაძე.
კორექტორები – მანანა დაუშვილი, ლელა ბუცხრიკიძე

გაზეთი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში რეგისტრაციის № 20483868

გამომცემელი შპს „პრესა“

აიწყო და დაკაბადონდა „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესის“ კომპიუტერულ ცენტრში

დაიბეჭდა საგაზეთო კორპუსში

რედაქციის მისამართია:
თბილისი, 380096,
მ. კოსტავას ქ. №14
ტელ. 93-31-49; 93-31-48;
93-31-56; 99-00-49

გაზეთი არ გამოხატავს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისს და მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

შესაძლოა გაზეთში გამოთქმული მოსაზრება არ დაემთხვეს რედაქციისას.

ავტორები თვითონ აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტებისა და ციტატების სიზუსტეზე.

პარლამენტი



# საკანონმდებლო ხელისუფლების თავზე „ცაიტნოტის“ ღრუბლები იგრაგნება

საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტს 56 კანონი აქვს მისაღები ან კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანი. 25 ნოემბრამდე დიდი დრო არ არის დარჩენილი, ზოგიერთი ორგანული კანონის განხილვა კი ჯერაც არ დაწყებულა, თუმცა, პარლამენტის კულუარებში მოსმენილი ფრაზა: „ქვანიას ერთი ხელის აწევა საკმარისია კანონის მისაღებადო“, ალბათ, პარლამენტართა ოპტიმიზმის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ და კითხვაზე – შეძლებს კი საქართველოს პარლამენტი კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში ორგანული კანონების მიღებას და სხვა კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანას? – დადებითი პასუხი არ უნდა გაგვიკვირდეს. ჩვენი პარლამენტარები ხომ ამისათვის ყველაფერს აკეთებენ. აი, მაგალითად, გასულ საპარლამენტო კვირაში დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა ნუსხა პარლამენტის მიერ განსახილველ თუ მისაღებ კანონპროექტთა ისეთი სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, იქნებ როგორმე განსაზღვრულ დროში ჩავეტიოთო, სამთავრობო საათიც კი მოხსნეს. კანონპროექტების ირგვლივ მსჯელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაინცდამაინც დიდი დაკვირვება არც იმ ფაქტს უნდა სჭირდებოდეს, ზოგიერთ დეპუტატს კანონი წაკითხულიც კი რომ არ აქვს და ისე აძლევს ხმას. ქვანიას მოთხოვნაც: „დეპუტატებო, დაბეჯითებით გთხოვთ, სხდომას დაესწროთ“, ისევ ძალაში რჩება და იმედიანი მომავალიც ჯერჯერობით შორიდან იცქირება.

„ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“ კანონპროექტში პარლამენტარებმა რეკორდული – 101 შენიშვნა შეიტანეს, რამაც დღის წესრიგში არცთუ უსაფუძვლოდ დასმული საკითხი – ხომ არ სჯობდა ცვლილებების შეტანას ახალი კანოპროექტის შემოტანა? – კიდევ უფრო გაამწვავა.

„ამ წინადადებაში, რა თქმა უნდა, არის გარკვეული ლოგიკა“, – თქვა ჩვენთან საუბარში კონსტიტუციური, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ. – ჩვენც კარგად ვიცით, რომ ზოგჯერ ცვლილებების შეტანას ახალი კანონის შექმნა სჯობს, მაგრამ დამერწმუნეთ და შეგიძლიათ ნებისმიერ იურისტს ჰკითხოთ, რომ შეუძლებელია ქვეყანაში არსებული მთელი კანონმდებლობის ორ წელიწადში შეცვლა. არ არსებობს მსოფლიოში არცერთი ქვეყანა, სადაც ნებისმიერი სამართლებრივი გადატრიალება ან რევოლუცია ერთ-ორ წელიწადში მომხდარიყოს. ეს გამორიცხულია და ამას ვერც ჩვენ დავიბრალებთ ... ჩვენ ავირჩიეთ ოპტიმალური გზა რეალობიდან გამომდინარე. სასურველი შეიძლება სხვა იყო, მაგრამ რასაც დღეს პარლამენტი აკეთებს, არის აბსოლუტურად სწორი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებოდით სამართლებრივ ვაკუუმში, როცა მართლა ვერ მოვასწრებდით ამდენი კანონების ვერც დაწერას, ვერც განხილვას და ვერც მათ მიღებას პარლამენტზე. შესაბამისად კონსტიტუციის დარღვევაც მოგვიწევდა, დღეს არსებული ხარვეზები კი ნელ-ნელა გამოსწორდება და მე იმედი მაქვს, რომ საქართველოს პარლამენტი ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს, რათა არ დაირღვეს კონსტიტუცია და ის კანონპროექტები, რომლებიც კონსტიტუციასთან შესაბამისობაში არის მოსაყვანი, 25 ნოემბრამდე მივიღოთ...“

მაგრამ მაინც, ვთქვათ, საქართველოს პარლამენტმა ვერ შესძლო კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში ორგანული კანონების მიღება და სხვა კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა, რა შეიძლება მოხდეს მაშინ? როგორც შევიტყვეთ, ამ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს საკონსტიტუციო სასამართლოში ამა თუ იმ კანონის არაკონსტიტუციურობის გამო, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს სარჩელის სამართლიანობას და თავად მოიყვანს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში აღნიშნული კანონის ამა თუ იმ მუხლს, ხოლო თუ პარლამენტი რომელიმე ორგანულ კანონს ვერ მიიღებს, მისი მოგვიანებით მიღება გამორიცხულია, კონსტიტუციური მოთხოვნების შესრულებისათვის კი ფაქტია, რომ პასუხს არავინ აგებს. თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. კონსტიტუციის დაცვის ლიგის წევრების აზრით, ორგანული კანონის მიუღებლობის შემთხვევაში საკითხით დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ სახელმწიფო სტრუქტურის წინააღმდეგ, ვისაც ევალებოდა კანონის მომზადება და პარლამენტში წარდგენა. მოგეხსენებათ, ორგანულ კანონთა უმეტესობის, ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია. არ არის გამორიცხული, რომ პოლიტიკურად აქტიურმა პიროვნებებმა დააყენონ საკითხი საქართველოს პრეზიდენტის პასუხისმგებლობის შესახებ, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღებული კანონი პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ.

„იმპიჩმენტის წესის შესახებ“ კანონპროექტი პრაქტიკულად კონსტიტუციიდან გამომდინარეობს და ეხება როგორც პრეზიდენტის, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების და შესაბამისად, სხვა თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის საკითხს. „პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ“ კანონი აუცილებლად იქნება მიღებული საკონსტიტუციო ვადის გასვლამდე. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ არ დაგვჭირდება ჩვენი პრეზიდენტის და არც საქართველოს რომელიმე მომავალი პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენების შესახებ საკითხის დაყენება არც ჩვენ და არც მომავალ პარლამენტარებს“. – კვლავ იმედიანია ქალბატონ ნინო ბურჯანაძის სიტყვები და ჩვენც ისღა დაგვრჩენია აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცებას დაველოდოთ, თან, მოდით, ნაწილობრივ იმ საკითხებსაც გადავხედოთ, რომლებზეც მსჯელობა და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ მომავალში ჩვენს პარლამენტარებს. ქალბატონ ნინოს აზრით, ყველაზე დიდ ვნებათა ღელვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხილვა გამოიწვევს. პარლამენტართა გარკვეულ ნაწილს კი მიაჩნია, რომ არანაკლებ ემოციურად ჩაივლის საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დაკომპლექტების საკითხი.

მოგეხსენებათ, ეს საკითხი უკვე გამოტანილი იყო სესიაზე და საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული საბჭოს შემადგენლობა. (ძნელი სათქმელია, ამჯერად შესძლებს თუ არა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი საბჭოს წევრებისათვის საჭირო ხმების მოგროვებას... თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების და 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების საკითხიც, რაც ალბათ, სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება... სახალხო ფრაქციის აზრით, კი მართალია ძალზედ მნიშვნელოვანია საკითხი ორგანული კანონების მიღებისა და სხვა კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, მაგრამ ყველა მათგანზე მაღლა დგას აფხაზეთის პრობლემა, რომელზეც საუბარს ამ ბოლო დროს პარლამენტი რატომღაც თავს არიდებს.

ერთი სიტყვით, საქართველოს პარლამენტს უამრავ საკითხზე მოუწევს დროისა და ენერგიის ხარჯვა. იმედი კარგია, მაგრამ უკეთესი იქნება შედეგზეც ახლავე ვიზრუნოთ, დროში ჩატევის მიზნით კანონპროექტების სასწრაფოდ მიღების გამო, ღლეს უბრალოდ ჩათვლილი შეცდომა მომავალში ასმაგად რომ არ შემოგვიტრიალდეს.

**თამარ ოთიაშვილი**

ეკონომიკური ინფორმაცია

## ჩიხში მოქცეული თურქეთის 50 მილიონიანი გახმაურებული კრედიტი რესტრუქტურიზაციას ელოდება

თურქეთის 50 მილიონიანი კრედიტი საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა მიზნებისათვის აიღო. თანხები შემდეგნაირად გადაინაწილეს: პურ-პროდუქტების კორპორაციამ 11 მლნ 787 ათასი დოლარი, ვაჭრობის სამინისტომ – 8 მლნ 503 ათასი დოლარი, „კოკა-კოლამ“ – 4 მლნ 844 ათასი დოლარი შულავერის მატყლის ქარხანამ 2 მლნ 374 ათასი დოლარი, სასმელი წყლების ქარხანა „გევამ“ 4 მლნ 750 ათასი დოლარი, ფირმა „არაგვმა“ 1 მლნ 693 ათასი დოლარი, კავშირგაბმულობის სამინისტრომ 4 მლნ 997 ათასი დოლარი, რუსთავის ცემენტის ქარხანამ 2 მლნ 569 ათასი დოლარი. მთავრობის დავალებით, ამ თანხებზე საკრედიტო ხელშეკრულება გააფორმეს საქართველოდან „ექსიმბანკმა“ და თურქეთის სამთავრობო „ექსიმბანკმა“.

თანსუ ჩილერის საქართველოში ვიზიტის დროს მან საქართველოს მთავრობის კრედიტის რესტრუქტურიზაციაში დახმარება აღუთქვა, მაგრამ თურქეთის სამთავრობო კრიზისის გამო დაპირება ჩიხში მოექცა. თურქეთის ახალი მთავრობა დღემდე უარს ამბობდა ვალის რესტუქტურიზაციაზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ დღეებში თურქეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ამ საკითხს საქართველოსთვის სასარგებლოდ გადაწყვეტს.

## მალე, ალბათ, თურქმენეთიც „შეგვიბრალებს“

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგარეო ვალის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს ვალების მთლიანი რაოდენობა 1.504.03 მილიონი აშშ დოლარია. აქედან თურქმენეთის 41,52 მლნ დოლარი, ჩინეთის 3,49 მლნ დოლარი, გერმანიის 58,10 მლნ დოლარი, ავსტრიის – 88,40 დოლარი, თურქეთის 41,52 მილიონი დოლარი, ირანის 12,83 მლნ დოლარი სომხეთის 19,59 მლნ დოლარი, აზერბაიჯანის 15,19 მლნ დოლარი, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა – 661,39 მლნ დოლარი. რეგიონალური საფინანსო ორგანიზაციებისა – 185,08 მლნ დოლარი.

დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბექან შარაძის განცხადებით, ქვეყნის ვალი უმეტესად კრედიტების საფუძველზე გაფორმდა. თითქმის ყველა კრედიტორთან მოხერხდა ვალის რესტრუქტურიზაცია ათი თხუთმეტი წლით. პირველი ხუთი წლით შეღავათიანი (4 პროცენტიანი წლიური) განაკვეთით. რაც შეეხება თურქმენეთის ვალებს, მათი შეღავათიანი პერიოდი სამი წლით განისაზღვრებოდა, რომელიც ფაქტიურად უკვე ამოიწურება.

საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ თურქმენეთიც უახლოეს მომავალში გაითვალისწინებს საქართველოს ბიუჯეტის მდგომარეობას და მოახდენს ვალის რესტრუქტურიზაციას ქვეყნის სასარგებლოდ.

## სპირტმა საზღვარი გადალახა და მორჩა?...

16 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე ინფორმაციით გამოსულმა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა თენგიზ აბულაძემ განაცხადა, რომ სპირტმა საზღვარი გადალახა? ესე იგი „ეს უკვე საქართველოს პრობლემა აღარაა, ეს მიმღები ქვეყნის იმ ფირმებისა და კერძო პირების პრობლემაა, რომლებიც სპირტის ბიზნესს ეწევიან“.

როგორც ცნობილია, რუსეთმა მოითხოვა სპირტმზიდების გატარება მხოლოდ სპეციალური შეტყობინებებისა და საბუთების საფუძველზე. აღნიშნული მოთხოვნა შესრულდა, მაგრამ სპირტით დატვირთული სამოცამდე ცისტერნა ისევ არ გაატარეს და უკან გაბრუნებული სპირტი ისევ ტერმინალებში გადანაწილდა.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად მზადდება სპეციალური სქემა და სისტემა.

**ნატა სალუქვაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია

„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან აბსოლუტურ დამოკიდებულებას... აღწევს თვითგამორკვევას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია... მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება" — ამას ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ამბობდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი.

# კოდორის ხეობა – ყელში გაჩხერილი „ძვალი"...

კოდორის ანუ დალის ხეობა არის საქართველოს მიწის ნაწილი აფხაზეთში. სადაც დღემდე ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. კოდორის ხეობა ის ხეობაა, რომელიც „ყელში ძვლად გაეჩხირა" და შეერთების საშუალება არ მისცა ჩრდილო კავკასიისა და აფხაზეთის ექსტრემისტებს.

დღეს კოდორის მოსახლეობა, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების თვალსაზრისით, უმძიმეს პირობებში ცხოვრობს. მაგრამ იქაურები ყოველგვარ გასაჭირს უძლებენ, ისე, როგორც მამაც ხალს შეჰფერის. აფხაზეთის ტერიტორიიდან მხოლოდ ეს კუთხე შემოგვრჩა. იგი, ემზარ კვიციანის მეთაურობით, ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარმა სახალხო ლაშქარმა დაიცვა.

ხეობას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება საქართველოს პრეზიდენტი, აფხაზეთის მთავრობა, ორგანიზაცია „ლემი". კოდორი ხომ უდიდესი პლაცდარმია საქართველოსი. კოდორის ხეობის პრობლემათა მოგვარების საქმეში საზოგადოება „ლემს" ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, რადგან კარგად იცნობს სვანურ ფენომენსა და ყველაზე უკეთ მას შეუძლია მმართველობის იმ ფორმების შეთავსება, რომლებიც წარმატებით იმუშავებს რეგიონში.

ორი წელია, გამოდის პრეზიდენტის ბრძანებები ხეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგების თაობაზე, რის საფუძველზეც პროდუქტი იქ თითქმის უფასოდ შედის: ფქვილი, შაქარი, მარილი, ასევე ნავთობპროდუქტები. შეკეთდა საავტომობილო გზა, აღდგა მწყობრიდან გამოსული ხიდები, მიმდინარეობს საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები „რემონტი" ჩაუტარდა სკოლებს და ა.შ.

კოდორის ხეობის საკითხით დაინტერესდა პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ ჟვანია. რომელიც მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან და „ლემის" ორგანიზაციის წევრებთან ერთად, ადგილზე გაეცნო იქ შექმნილ მდგომარეობას. ამ დროისათვის შერიგება უკვე მომხდარი იყო, მაგრამ შეინიშნებოდა გარკვეული დაჯგუფებების ლტოლვა კოდორის მმართველობაში მოსახვედრად (ამ საკითხს საზოგადოება „ლემი" ვერ გადაწყვეტს. ეს აფხაზეთის მთავრობის პრეროგატივაა).

თბილისში დაბრუნების შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარეს და აფხაზეთის მთავრობასთან ერთად, სხვადასხვა უწყებების მონაწილეობით შედგა თათბირი, სადაც კოდორის პრობლემების გადაწყვეტისადმი, ასევე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობის საკითხი დადგა.

ხელისუფლების მუშაობის შედეგია მეორე დიდი პროექტის დაწყებაც, რომელიც თბილისიდან სურსათ-სანოვაგის შეზიდვას ეხება. ამასთან დაკავშირებით გამოვიდა პრეზიდენტის ახალი ბრძანება, რომელშიც ზუსტად არის მითითებული, თუ ვის რა ევალება.

როგორც ვხედავთ, პრეზიდენტისა და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელების განწყობა ამ კუთხისადმი კეთილმოსურნეა. დადგენილებაც-დადგენილებაზე გამოდის, მაგრამ მათ განხორციელებას ხელისშეწყობაც სჭირდება. ამას კი ხელს უშლის გარკვეული სიტუაცია. კერძოდ, კრიმინალური მდგომარეობა, რომელიც კოდორის ხეობასა და, საერთოდ, სვანეთის რეგიონში ძალიან რთულია. სვანეთს მრავალი დამნაშავე აფარებს თავს. მოსახლეობაში თავმოყრილია დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც 1993 წელს აფხაზეთიდან უკანდახეულმა ჯარმა დატოვა. საუბედუროდ, იარაღმა განაპირობა შურისძიების ნიადაგზე სხვადასხვა მკვლელობები, რაც, რა თქმა უნდა, საგანგაშოა. დღეს ხეობაში არაერთი ძალოვანი სტრუქტურაა განლაგებული: სასაზღვრო და შინაგანი ჯარი, პოლიცია და სხვა. ვერ მოგვარდა საქართველოს ხელისუფლების წინაშე დასმული საკითხი, რომ კოდორის ხეობაში განლაგებული სხვადასხვა ძალებს ჰყავდეს ერთი ხელმძღვანელი – კომენდანტის სახით, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა იქ თავმოყრილ სტრუქტურებს. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ იქნება კომენდანტი, აუცილებლად უნდა იყოს ადგილობრივი პიროვნება (მხედველობაში მყავს ემზარ კვიციანი, რომლის ხელმძღვანელობითა და ვაჟკაცობით, ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეწყობით, შენარჩუნებული იქნა ხეობაში ქართული სული), რადგან სვანეთის სატკივარს ჩემი აზრით, ყველაზე უკეთ ის ადამიანები გაიგებენ, რომელთაც იქაური სისხლი და გენი აქვთ.

ორგანიზაცია „ლემი" მწვავედ განიცდის კოდორის ხეობაში არსებულ რთულ კრიმინოგენულ მდგომარეობას. იქ მცხოვრები სვანების ისტორიულად აფხაზეთის ძირძველი მოსახლენი არიან. ჩვენთვის მათი ბედ-იღბალი და ცხოვრების პირობები უმთავრესია.

კოდორის ხეობაში არსებული პრობლემების მოგვარებისათვის ჩვენს მიერ დასმული საკითხი, ხელისუფლებამ და იმ სტრუქტურებმა, ვისაც ეს ეხება, სასურველი იქნება, დროულად გადაწყვიტონ. საკითხის დროულად, დადებითად გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული კრიმინალური მდგომარეობის გაუმჯობესება კოდორის ხეობაში. ხელისუფლებას ვთხოვთ, გაითვალისწინოს ეს. იქ სტაბილურობის მისაღწევად, სამართალდამცავთა დასახმარებლად სვანური-ხალხური სამართლის ამოქმედება და გამოყენებაც აუცილებელია.

ლელა ჭელიძე

აფხაზეთი

# დევნილთა გულისტკივილს შადრევანი ვერ ჩაახშობს

აფხაზეთიდან დევნილთა მიტინგი სასტუმრო „ივერიის" წინ ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. მომიტინგეებს გაცილებით სჭარბობდნენ პოლიციელთა და ომონელთა ოცეულები, რომლებმაც ორი საათით ადრე შემოსაზღვრეს სასტუმროს შემოგარენი. ის კი არადა, ბორის კაკუბავას თქმით, იმდენად სერიოზულად აიქვა ხელისუფლებამ მისი წინა დღის ხუმრობა – დევნილებს თუ სურთ, ორი საათით მაინც მიიტანონ თუ როგორ ცხოვრობდნენ ისინი აფხაზეთში, კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია მოინახულონ, რომ „ივერიიდან" კრწანისის რეზიდენციამდე მილიციელთა გაძლიერებული დაცვა ჩააყენებიათ.

აფხაზეთიდან დევნილთა თავშეყრის ძირითადი მიზეზი ამჟამად 23-24 ოქტომბერს კიშინიოვში ესენგეს ქვეყნების სამიტზე რუსეთის სამშვიდობო ძალების აფხაზეთში ყოფნის მანდატის სავარაუდო გაგრძელებაზე პროტესტის გამოხატვა იყო. მანამ კი მოსკოვში ხელი უნდა მოეწეროს „პროტოკოლს". რომელიც ხელისუფლების მტკიცებით ერთადერთ „ხსნას" წარმოადგენს, სინამდვილეში კი ჩვენს დაღუპვას „ოქმით" გააფორმებს – აღნიშნეს გამომსვლელებმა.

„პროტოკოლის" ერთ-ერთ პუნქტში ისიცაა ჩადებული, რომ დევნილთა დაბრუნების შემდეგ აფხაზეთში რამდენიმე ხანს გაგრძელდეს რუსული ფულის მიმოქცევა. ხელისუფლებამ იმდენად გააღველა დევნილები, რომ ამის ხმამაღლა წარმოთქმა, „რუსეთი ჩვენი მტერიაო" ვერ გაუბედიათ და უკვე ისიც კი არ იციან, თუ რას ელოდონ, სიტყვა „დაბრუნებაც" კი ამოშლილია აფხაზეთში დაბრუნების ვტიკეტიდან.

მიტინგის მონაწილეებმა დევნილთა საყოველთაო ყრილობის დადგენილება და „კონფერენციის" მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს ხელისუფლებას. 10-11 ნოემბერს კი ჩატარდება დევნილთა საყოველთაო II ყრილობა. დევნილები გაემიჯნებიან ხელისუფლებას, გამოუცხადებენ მას უნდობლობას, დაიწყება აქციები და ა.შ.

და კიდევ ერთი, მიტინგის დაწყებისას, როცა უმიკროფონო ტრიბუნიდან ჩაფხრეწამდე აწეული ხმით წარმოთქვა მიმართვის სიტყვა პარლამენტარმა ბორის კაკუბავამ უეცრად აღიმართა შადრევანი და მისი სიტყვა წყლის შხუილმა დაფარა. მომიტინგეები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ხელისუფლების ამ პროვოკაციას. 10 წუთის განმავლობაში შადრევნის შხუილი ახშობდა დევნილთა გულისწყრომას. შემდეგ წყალი შეწყდა, ბორის კაკუბავამ ბადრი მომიტინგეებს დიდი მადლობა გადაუხადა წყლის ოპერატიულად დახშობისთვის.

ბრიგიტა შიუკაშვილი



მოსაზრება

# ცხოვრობს თუ არა დღეს საქართველო „ქურდული" მენტალიტეტით?



დიდ ილიას უთქვამს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება, თუ ამათაც ვერ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით?".

სამწუხაროდ, დღეს ძალიან ცოტას თუ სტკივა ქვეყნის ტკივილით გული, ალბათ, ამან განაპირობა ის, რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა საქართველოში, დღეს „ქურდული" მენტალიტეტით ცხოვრობს.

.მიზეზი? – დღევანდელი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, თანამედროვე ეკონომიკური პირობები.

კომუნისტების დროს, შეიძლება ითქვას, საქართველოში ყოველგვარი პირობა არსებობდა ნორმალური ცხოვრებისათვის. იყო პენსიები, სტიპენდიები, ხელფასები. იყო პრობლემებიც – ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, თუ ბევრი სხვა რამ შეუფერებელი ერისათვის, მაგრამ დღევანდელი პრობლემები ხომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: მინიმალური ხელფასები, უმუშევართა დიდი ნაკადი, ქუჩებში დაუსაქმებელი ახალგაზრდობა; ყოველგვარ საარსებო წყაროს მოკლებული საზოგადოება. ბუნებრივია, დამნაშავეთა არმია დღითიდღე იზრდება; იმატა შრომა-გასწორებითმა კოლონიებმა.

წაიბილწა მშობლიური ენა, რაც ერის დაცემის მომასწავებელია.

ახლო წარსულში ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა დაშინებებს, რეპრესიებს. ხშირი იყო შემთხვევები მართლმსაჯულების ორგანოთა მიერ მექრთამეობის საფუძველზე დანაშაულებათა დაფარვისა.

ბოლო ხანებში უკანონოდ გამოცემულმა ამნისტიებმა პატიმრობიდან გაათავისუფლა ათასი ჯურის დამნაშავე. მომრავლდნენ ბინის ქურდები, ყაჩაღები. დაზარალებულთა ოჯახებს პოლიციაში ცნობისთანავე მოკვლით ემუქრებოდნენ რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება და უმოქმედობა ყოველგვარი დანაშაულის წინააღმდეგ, რაც ორგზის დანაშაულის ტოლფასია.

დღევანდელ საქართველოში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე – საზოგადოებაში გაბატონდა აზრი – ადამიანს ხელფასით, პატიოსანი შრომით ცხოვრება არ შეუძლია.

სამუშაოს მაძიებელი კი უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულია იმით, ექნება თუ არა რაიმე ფულადი გამორჩენა ახალ სამსახურში.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეულ უბანზე ძალაუნებურად „ქურდული მენტალიტეტი" ყალიბდება.

თუმცა დღეს საქართველოში „ქურდულ მენტალიტეტს" გაცილებით სჭარბობს „მაფიოზური მენტალიტეტი". ეს, რა თქმა უნდა, ის 10-15 პროცენტია, რომელმაც შეძლო მაფიის კლანჭებში მოქცევა.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება, გავაკეთოთ მოკლე დასკვნა: ბოლო ხანებში, ცხოვრებისეული პირობების გაუკუღმართებისა და ელემენტარული, ადამიანური მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების აბსოლუტური დაუკმაყოფილებლობის გამო საქართველოში იმძლავრა ჯურღმულ წოდებულმა „ქურდულმა მენტალიტეტმა", რამაც დიდი ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის მოსახლეობაზე მეტწილად კი, ახალგაზრდებზე.

მაია გოგსაძე

20 – 26 ოქტომბერი №19

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ის, რომ დამნაშავეთა სამყარო მართლაც შავი და ბუნდოვანია, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, თუ ერთ კონკრეტულ შემთხვევას შეძლებისამებრ და მონდომებით გაეცნობით; კიდევ ერთხელ გამოაშკარავდება კრიმინალურ ელემენტთა საოცარი დათანაც. გაურკვეველი ურთიერთკავშირი, რომელიც ყოველთვის მხოლოდ ერთად-ერთი შედეგით მთავრდება – ადამიანის სიცოცხლის ხელყოფით!...*

*გარდება ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობები, რომელთაც მოსდევს შედეგები, შედეგები – ბევრთათვის უსარგებლო, უიმედო და შეურაცხმყოფელი (ამ კონტინგენტში ძირითადად დაზარალებულნი შედიან) და ბევრთათვისაც – სასურველი და საქირქილო, და ყველაფერი კანონების მოხდენილი ლავირებით. კანონები და წესები არსებობენ ადამიანთათვის, და, შესაბამისად, ადამიანები თავად ქმნიან მათ. ერთი რუსული გამონათქვამია: „Правила бывает потому, чтобы их нарушить". ალბათ დამეთანხმებით, თუმცა კი, ვიცი, არ არსებობს ყოველთვის დამთხვეული, უფრო ზუსტად – თანხვედრილი აზრები. ვინ როგორ ასრულებს საკუთარ ანგარიშვალდებულებას, თავად ყველაზე უკეთ უწყის და თუ არა საზოგადოებასთან, საკუთარ სინდისთან მაინც მოინანიებენ ხოლმე ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვებს...*

მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ...

1993 წლის 10 მარტს დაახლოებით 20 საათსა და 10 წუთზე, საკუთარი საცხოვრებელი ბინის ეზოში დღემდე დაუდგენელი ბოროტმოქმედის მიერ მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით მოკლეს თბილისის პროკურორი მიხეილ ქურდაძე. აღმოჩნდა, რომ მ.ქურდაძეს თავის არეში მიყენებული ჰქონდა ოთხი, გულმკერდის არეში – ორი ჭრილობა. შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს მაკაროვის სისტემის პისტოლეტის 7 მასრა და 3 ტყვიის გული, ხოლო გვამის გამოკვლევისას ამოღებულია იგივე სისტემის თითო-თითო ტყვიის გული ტანსაცმლიდან, თავისა და გულმკერდის არიდან.

მოკლული პროკურორის სხეულიდან ამოღებული ტყვიის გულები შედარდა სხვადასხვა დროს ჩადენილ განზრახ მკვლელობათა შემთხვევის ადგილებიდან და გვამებიდან ამოღებული მაკაროვის სისტემის პისტოლეტის ტყვიის გულებსა და მასრებს და 1994 წლის 28 დეკემბრის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, მ.ქურდაძის სხეულიდან ამოღებული ორი მასრა გასროლილი იყო ა.შანიძეზე გაპიროვნებული ტაბელური იარაღიდან. აღსანიშნავია, რომ შანიძე ამავე იარაღით მოკლეს 1993 წლის 4 მარტს, ე.ი. ქურდაძის მკვლელობამდე 6 დღით ადრე.

ამავე ლაბორატორიის მიერ 1994 წლის 23 დეკემბერს გაცემული დასკვნითაც მ.რურუასა და მ.ქურდაძის გვამებიდან ამოღებული ტყვიები კალიბრითა და კონსტრუქციით ერთნაირები აღმოჩნდნენ.

1993 წლის 6 მარტს საბურთალოს რაიონის პროკურატურაში ა.შანიძისა და ზ.ნათიძის, ხოლო

# საიმედო უიმედობა თუ?



## ანუ





## ხლართები პროკურორ ქურდაძის მკვლელობის საქმეში

ნ.რურუას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით 1994 წლის 1 თებერვალს დიდუბის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები. ვინაიდან ოთხივე პიროვნების მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილი ტყვიის გულები ერთი და იმავე პისტოლეტიდან გასროლილი აღმოჩნდა, საქმეები ერთ საქმედ გაერთიანდა. გაერთიანებულ საქმეს თავდაპირველად იძიებდა გია წამალაშვილი, ხოლო 1995 წლის 23 ოქტომბერს საქმე წარმოებაში მიიღო დავით ზირაქიშვილმა (გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატთან არსებული ცალკეული ტერაქტების, დივერსიებისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა გამოძიების სპეციალური ჯგუფი).

გამოყენებული იარაღი ამოიღეს ვინმე ბუტიკაშვილისაგან რომელიც ამტკიცებდა, რომ პისტოლეტი 1993 წლის 5 აგვისტოს იპოვა წყნეთის გზაზე მომხდარი ავტოკატასტროფის დროს. – იგი ორ თვეზე მეტხანს იმყოფებოდა პატიმრობაში და ყველანაირად დამუშავდა, მაგრამ პირველ ჩვენებას არ ცვლიდა. ეჭვია, რომ ბუტიკაშვილი არასწორს ამბობდა. დაიკითხა 50-მდე მოწმე ავარიისა, მაგრამ უშედეგოდ – ამბობს საგამოძიებო ჯგუფის უფროსი მირზა დოლიძე. საქმე შეწყდა და ბუტიკაშვილს გამოძიებამ 1995 წლის 2 ივნისის ამნისტია შეუფარდა.

გამოძიება მუშაობას განაგრძობს და დააკავა ავტომანქანების გამტაცებელი ვინმე გიორგი ნავერიანი, რომელიც სასჯელს იხდის ნათიძის კუთვნილი ავტომანქანის გატაცებისა და შანიძისა და ნათიძის მკვლელობისათვის.

გამოძიებისათვის მხოლოდ ოთხწლიანი მძიმე შრომის შემდეგ გახდა შესაძლებელი რურუას მკვლელობის საქმის გახსნა. მიმდინარე წლის 14 მაისს დააკავეს თბილისელი აკაკი დვალიშვილი, რომელმაც აღიარა, რომ 1994 წლის 30 იანვარს საკუთარ საძინებელ ოთახში ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით მოკლა რურუა და მისი გვამი ვ.ჭიჭინაძის დახმარებით ამ უკანასკნელის ავტომანქანით წაიღო და მტკვარში ჩააგდო. გატარებული სათანადო ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დვალიშვილის ბინაში 2 ტყვიის გულა აღმოჩნდა, რომელთაგან ერთი იდენტური იყო რურუას გვამიდან ამოღებული ტყვიის გულისა. დვალიშვილს მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

– საზოგადოება თვლის, რომ პროკურატურა გულზე ხელებდაკრეფილია და არაფერს აკეთებს, სინამდვილეში კი ბევრი უძილო ღამეები და დაძაბული დღეები გვივლია. ერთი ხელის დაკვრით ასეთი საქმე რომ ვერ გაიხსნება, აქსიომაა. ნელ-ნელა, ალბათ, ყველაფერს ფარდა აეხდება, ამ იმედით ვიწყებთ ყოველ დილას. გვერდში გვიდგანან შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებიც: ბატონები თემურ მურღულია, ზურაბ ჩხაიძე, რევაზ ფოჩხუა, დავით ვეკუა და სხვები. სიმართლე გითხრათ, ჩვენც გვიმძიმს, რომ საკუთარი კოლეგის მკვლელები ახლაც თავისუფლად დაპარპაშებენ. მართლაც, საჩქაროა, მაგრამ შეგახსენებთ, რომ 1981 წელს გამოძიების პროცეში 17 წლის მკვლელობის საქმე გაიხსნა. განაჩენია დადგენილი 19 წლის მკვლელობაზეც – განაცხადა გამომძიებელმა ზირაქიშვილმა.

გეთანხმებით, ბევრია ეჭვები, ვერსიები... ფაქტი კი ერთია, რომ ბატონ მიხეილ ქურდაძეს, ცოტა არ იყოს, არასასიამოვნო ურთიერთობები ჰქონდა რამდენიმე პიროვნებასთან – დავით ზეიკიძესთან, ქართლოს ღარიბაშვილთან... გამორიცხული არც არაფერია, მაგრამ კონკრეტულ ბრალს ჯერჯერობით ვერავის წავუყენებთ – დასძინა გამომძიებელმა დავით ზირაქიშვილმა.

საინტერესოა, მაგრამ ფაქტია, რომ ქურდაძის საქმესთან დაკავშირებით ოფიციალურად არ დაკითხულა ბატონი ზეიკიძე, რომელიც თურმე, მოწმეობას უარყოფს, მაგრამ კარგად იცის, ვინც მოკლა პროკურორი.... პარლამენტარს კი, ძალით ვერავინ აიძულებს ჩვენების მიცემას (?!).

როგორც ხედავთ, საკმაოდ ჩახლართულია საქმის გორგალი, სწორედ მისმა ერთ-ერთმა ბოლომ უნდა მიიყვანოს გამოძიება მეორე ბოლომდე.

მაგრამ... მ.ქურდაძის მეუღლე „იმედოვნებს" და დარწმუნებულია, რომ აღნიშნული საქმე სინათლეს ვერ იხილავს, რადგან შემსრულებლების უკან საკმაოდ სოლიდური თანამდებობის პირნი დგანან, სწორედ ამიტომ არ ხსნის პროკურატურა საქმესო.

მართლაც, ადამიანის ყველა მდგომარეობაზე მძიმე დაზარალებულის უმწეო და უნუგეშო ყოფაა, რომელშიც ამჯერად იმყოფება მიხეილ ქურდაძის მეუღლე, იმ ქურდაძისა, რომელსაც ყველაზე მეტად სტკიოდა დაზარებულის ტკივილი და მათი უფლებების გაფართოებას ცდილობდა, დაზარალებულისა, რომლის დაცვას თვით ადვოკატებიც გაურბიან... ბატონი მიხეილი ერთ-ერთ თავის ვრცელ სტატიაში წერდა: „მატულობს არა მარტო დღეისათვის არსებულ დაზარალებულთა რაოდენობა, არამედ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც უახლოეს დროში მოგვევლინებიან დაზარალებულის არც თუ სახარბიელო როლში"... „დღევანდელ პირობებში იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სამართალწარმოება დაინტერესებულია მარტოოდენ ბრალდებულის (დამნაშავის) უფლება-მოვალეობის სტატუსის ჩამოყალიბება-გაფართოებით, რასაც ზოგჯერ სხვათა და სხვათა, პირველ რიგში კი, დაზარალებულის ინტერესებსაც ვანაცვალებთ"...

რა იცოდა ბატონმა მიშამ, რომ დაწყებული შრომა დაზარალებულთან დაკავშირებით დაუმთავრებელი დარჩებოდა და უფრო უარესი...საკუთარი ოჯახი აღმოჩნდებოდა დაზარალებულის როლში.... ისევ მოკლული პროკურორის სიტყვებს მოვიშველიებთ: „დღესდღეობით გვინდა არ გვინდა, სასჯელი ისეთი ღონისძიებაა, რომელიც ვნებს სულსა და ხორცს და არავითარი დადებითი შედეგი არ მოაქვს დაზარალებულისათვის"....

**მაია სალირაშვილი**

***P. S.* უფალმა ინებოს, პროკურატურამაც მოინდომოს და დაზარალებული ქურდაძეების ოჯახის „იმედი" გაეცრუებინოთ — მოძებნონ და სათითაოდ მიუზღონ მკვლელობის შემკვეთებსაც და შემსრულებელთაც!...**

# მიდის, მოდის, იქავე დგას...

*მოდით, ერთი გამოცანით დავიწყოთ, ალბათ, გახსოვთ: მიდის, მოდის, იქავე დგას; რა არის? კარი! წამში გამო[illegible]. ახლა მეორე, მსგავსი რითმისა და რ[illegible] გამოცანას გეტყვით, მხოლოდ ერთი სიტყვის ცვლილებით – მიდის, მიდის იქავე დგას; რა არის?... ვერ მიხვდით? ეს ხომ 1992 წლის ივნისში საქველმოქმედო საზოგადოება „კავკასიონი-კა"-ს მიერ ეკის ყოფილ ბინსოცბანკში, ამჯერად სააქციო– კომერციულ ბანკ „საქართველოს ბანკში" შეტანილი მილიონ ორასი ათასი მანეთია, რომელიც მისმა პრეზიდენტმა კიმი ალიაშვილმა მოსკოვის პარფიუმერიის ფაბრიკა „სვობოდა"-ში გადარიცხა. ფული წავიდა, წავიდა და ... ნაცვლად „ბიზნესბანკისა" „ბინსოცბანკში" აღმოჩნდა, თანაც, 1993 წლის დეკემბერში. აღნიშნულ ბანკს თურმე ალიაშვილმა „ქვენა მიზნების" გამო არ მიაკითხა, რაშიც პროცენტების გაზრდის სურვილი ამოიცნეს ბანკის თანამშრომლებმა. გამორიცხული არც არაფერია, თუნდაც მოსარჩელესგან, თუნდაც მოპასუხისგან, მაგრამ ამჯერად სხვა რამ გვაინტერესებს. ყველა, ყველაა, მაგრამ ბანკირებმა ხომ ყველაზე უკეთ უწყიან გადარიცხვის ოპერაციის შესახებ? – რომ გადარიცხვის ე.წ. „პლატიომკაში" აუცილებლად უნდა იყოს მითითებული კორესპონდენტი ბანკის ანგარიში, მიმღები ბანკის ანგარიში და გადამრიცხავი კლიენტისა თუ ორგანიზაციის ანგარიში იმ ბანკში, საიდანაც რიცხავს თანხას. მაშ, რატომ ან ვის შეემალა მისამართი?! ამის აღიარება, ალბათ, ძნელია ორივე მხრისათვის, ყოველივე გამოძიების პრეროგატივაა, მაგრამ რას ნიშნავს რამდენჯერმე დაშლილი და დაწყებული სასამართლო პროცესი, უზომოდ გაჭიანურებული პროცესები, რომლებიც თითქმის ყოველ ორ კვირაში ინიშნებოდა და მოპასუხეთა თუ მოსამართლის გამოუცდელობის გამო კვლავ „ხვალისთვის" იდებოდა.*

*საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1996 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით, „საქართველოს ბანკს" დაევალა მოსარჩლესათვის ზარალის ანაზღაურება, მაგრამ „გადაწყვეტილების საინიციატივო ნაწილში შეცდომით დაანგარიშებული თანხის გამო" თბილისის საქალაქო კოლეგიამ საქმე დაარღვია და იგი სხვა შემადგენლობას გადასცა.*

*... უკვე ხუთწელიწადნახევარი გავიდა ნერვიულობასა და წინ და უკან სირბილში. და აი, ახლახანს ერთ-ერთი მორიგი პროცესი დასრულდა (შეიძლება საბოლოოც აღმოჩნდეს!) და როგორც იქნა, დაზარალებულმა რაღაცას მიაღწია, მიმდინარე წლის 16 სექტემბერს საბურთალოს სასამართლომ კვლავ განიხილა „კავკასიონი-კა"-ს პრეზიდენტის სარჩელი და შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა: „სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. დაეკისროს სააქციო კომერციულ ბანკს კიმი ალიაშვილის სასარგებლოდ 8.035.711 ამერიკული დოლარის ეკვივალენტური ეროვნული ვალუტის გადახდა".*

*ჩვენს მხრივ, მივულოცავთ ბატონ კიმის მილიონერობას, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე გაფორმებულს, რადგან გადაწყვეტილება 14 დღის ვადაში კასაციურია და, ვინ იცის, ქალაქის სასამართლომ იქნებ ისევ გამოძებნოს „რაღაც-რაღაცეები"... მაგრამ მოსარჩელეს დიდი იმედი აქვს და მას ჩვენც ვუერთდებით, რომ როგორც იქნება მალე სამართალი დაპურდება (ნაწილობრივ ახლაც კი ჰპოვა ობიექტურობამ თავისი ადგილი) და ხუთწელიწადნახევრიანი ნერვების დამწყვეტსა და მატერიალურ დამზარალებელს თავის ხვედრს მიაგებს...*

**მაია სალირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინ მართავს დემოკრატიულ სახელმწიფოს?!

წარსულში დემოკრატიის კლასიკური თეორია მიიჩნევდა, რომ ხალხი, საზოგადოება არის სუვერენული და კანონიერი ხელისუფლება სწორედ მისგან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო ოლიგარქიული ზემო ფენა თუ მიიტაცებდა ამ უფლებას იგი ხიფათს შეუქმნიდა დემოკრატიას. მოგვიანებით, მრავალ სხვა თეორიებთან ერთად წარმოიქმნა „დემოკრატიული ელიტარიზმის" თეორიაც.

მაინც ვინ მართავს სახელმწიფოს? ხალხი თუ ელიტა? ვინ არიან ისინი, ვინც ელიტად ითვლება?

ამ პრობლემის ანალიზისას, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა მაგალითების მოხმობა საქართველოს სინამდვილიდან, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია. ჯერ ერთი იმის გამო, რომ ქვეყანა ჯერ დუღილის პერიოდშია და რა გემოსა და თვისებების „ღვინოს" მივიღებთ საბოლოოდ, ძნელი სათქმელია. პერსპექტივა კი საქართველოს ნამდვილად მრავალგვარი აქვს: შეიძლება იგი გახდეს ცივილიზებული დემოკრატიული ქვეყანა, შესაძლებელია დემოკრატია ავტორიტარიზმსა და ტირანიაში გადაიზარდოს, ან სულაც კლანებისა და მაფიის სათარეშოდ იქცეს. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ დღეს არსებული მმართველი წრე თავისი არსით დემოკრატიული ელიტა კი არ არის, არამედ პოსტკომუნისტური ნომენკლატურაა და არც შეიძლება სხვანაირი იყოს. საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთადერთი პოლიტიკური ელიტა არსებობდა – ნომენკლატურული. დემოკრატიული ელიტის აღმოცენებას დრო სჭირდება, ერთი ან ორი მერცხალი, სამწუხაროდ, გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ამიტომ, როდესაც შევეცდებით, ვუპასუხოთ კითხვას – ვინ არიან დემოკრატიული ელიტის წარმომადგენლები? როგორი გზით მოდიან ისინი ხელისუფლებაში და როგორ იყენებენ ხელისუფლებას? რამდენად დიდია მათი ძალაუფლება? მოვიხმობთ ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითს, ისევ და ისევ ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ აშშ მართლაც არის კლასიკური საპრეზიდენტო დემოკრატიის ნიმუში და მეორეც, რათა გავთავისუფლდეთ ყოველგვარი ილუზორული წარმოდგენებისაგან ამერიკულ დემოკრატიაზე. არა იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ცუდია ან კარგია, არამედ რეალური სურათის დანახვის მიზნით.

ზოგ შემთხვევაში მკითხველმა შეიძლება ძველი ქართული ანდაზაც გამოიყენოს. მულო, შენ გეუბნებიან, რძალო, შენ გაიგეო და დასკვნები თვითონ გამოიტანოს.

დემოკრატიული ელიტარიზმის თეორიის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება პასიურია, ელიტა ხელთ იგდებს სრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას. ელიტას, როგორც წესი, მიუხედავად იმისა, თუ საზოგადოების რომელი ფენებია მასში წარმოდგენილი, ერთნაირი შეხედულებები აქვს ფუნდამენტურ ღირებულებებზე. ელიტის შიგნით დაპირისპირება შესაძლებელია მხოლოდ პრობლემების საკმაოდ ვიწრო წრეს ეხებოდეს და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის საშუალებებს და არა მიზნებს.

მაგალითად, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ელიტაში ფრაქციულობის წყარო გახდნენ ე.წ. „მზიური სარტყლის კოვბოები". ასე უწოდებენ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავის ახლანდელ მდგომარეობას საკუთარი შრომითა და ძალისხმევით მიაღწიეს და წინამორბედთა შეხედულებებს ამა თუ იმ ღირებულებებთან დაკავშირებით, სრულად არ იზიარებენ. ისინი გამდიდრდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თავის სიმდიდრესა და ძალისხმევას მიაღწიეს აერონავტიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში მიღწეული წარმატებების წყალობითა და უძრავი ქონებით სპეკულაციის გზით. მათი პოლიტიკური შეხედულებები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ზომიერი, კონსერვატიულობის ელფერით, მაშინ, როდესაც ძველი ისტებლიშმენტის პოლიტიკური შეხედულებანი უფრო ლიბერალურია, ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს და ცდილობს, ორიენტირებული იყოს ფართო ფენებისათვის სოციალური კეთილდღეობის შექმნის მიზანზე.

ხელისუფლების კონცენტრაციის შესახებ როდესაც ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამერიკაში რესურსები თავმოყრილია შედარებით მცირერიცხოვანი სოციალური ინსტიტუტების ხელში. სამრეწველო აქტივების ნახევარზე მეტს განაგებს 100 სამრეწველო კორპორაცია, საბანკო ანაბრების 2/3 თავმოყრილია 50 უმსხვილეს ბანკში, სატრანსპორტო საშუალებათა ნახევარი ეკუთვნის 50 კორპორაციას, 40 საქველმოქმედო ორგანიზაცია ფლობს ამ დარგში არსებული ფულადი ფონდების 40 პროცენტს, 25 უნივერსიტეტი აკონტროლებს განათლების სფეროში დაბანდებული კერძო შენაწირების 2/3-ს, ტელერადიომაუწყებლობის 70 პროცენტი ეკუთვნის სამ კომპანიას, 15 გაზეთის ტირაჟი მოიცავს საერთო ეროვნული ტირაჟის ნახევარზე მეტს. საადვოკატო მომსახურეობის დარგში დომინირებს ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის 30 საადვოკატო კანტორა. ისე რომ, ამერიკაში ცალკეული ადამიანების ქონება მეტად მოკრძალებულად გამოიყურება იმ ქონებასთან შედარებით, რომელიც თავმოყრილია საზოგადოებრივ ინსტიტუტებში.

პირადი ქონება ამერიკაში სულაც არ ანიჭებს მის მფლობელს ძალაუფლებას. მხოლოდ სიმდიდრეს დამატებული მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში აძლევს ადამიანს მნიშვნელოვან ძალაუფლებას.

ამერიკაში დაახლოებით 6-7 ათასი ადამიანია წარმოდგენილი ხელისუფლების უმაღლეს სტრუქტურებში და სწორედ ისინი აკონტროლებენ ეროვნული რესურსების ნახევარზე მეტს ისეთ დარგებში, როგორიცაა მრეწველობა, ფინანსები, სადაზღვევო კომპანიები, კომუნალური მომსახურეობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, სამართლის სისტემა, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციები, ხელოვნება (ფართო გაგებით).

ელიტის რიგებში მიმდინარეობს ცირკულაციის განუწყვეტელი პროცესი „ქვევიდან ზევით" და ეს არის ელიტის სტაბილურობის გარანტი და ოლიგარქიის წარმოქმნის საშიშროებას ხსნის. ამერიკის კორპორაციული ელიტის მხოლოდ 10 პროცენტს აქვს მიღებული საზოგადოებრივი მდგომარეობა მემკვიდრეობით. 90 პროცენტმა თვითონ გაიკაფა გზა „ზევით". სამთავრობო ელიტის ძირითად ნაწილს, მაღალი თანამდებობის მქონე ჩინოვნიკებს, მოსამართლეებს, კონგრესის წევრებს, ადრე საკმაოდ მოკრძალებული ადგილი ეკავათ საზოგადოებაში. სამხედრო ხელმძღვანელობა კი უფრო ხშირად ყალიბდება დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახებიდან და სოფლიდან გამოსული პირებისაგან.

ხელისუფლებაში მოსვლის მრავალი გზა არსებობს. მთავრობის მაღალჩინოსანთა რიგები ივსება ძირითადად იურიდიული და სამმართველო აპარატიდან მოსული პირებით და მხოლოდ ყოველი მეექვსე შეიძლება ბიზნესიდან იყოს მოსული. როგორც წესი, ელიტის წარმომადგენლების რიგებს ემატებიან ცნობილი იურიდიული ფირმების თანამშრომლები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელების რიგებს ავსებენ ძირითადად პრესისა და რადიოტელემაუწყებლობის მუშაკები და ა.შ. სამხედრო ხელმძღვანელობაში მხოლოდ სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ ხვდებიან.

ამრიგად, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის პირამიდის ზედა ნაწილში იმყოფებიან? თავისი წარმომავლობით უმეტეს წილად ისინი არიან ზედა და საშუალო კლასის წარმომადგენლები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ პრესტიჟული კერძო სკოლები და კოლეჯები, ერთ-ერთი 12 პრესტიჟული უნივერსიტეტთაგანი, აქვთ მაგისტრებისა და დოქტორების წოდებები.

ზოგიერთმა მაღალი რანგის პოლიტიკოსმა მემკვიდრეობით მიიღო დიდი ქონება, რამაც ხელი შეუწყო მათ კარიერას, მაგრამ პოლიტიკური მოღვაწეების უმეტესობა საზოგადოების დაბალი და საშუალო ფენებიდან არის გამოსული, მაგალითად აშშ-ის უკანასკნელი ათი პრეზიდენტიდან მხოლოდ ორი – ჯონ კენედი და ჯორჯ ბუში ფლობდნენ მემკვიდრეობით მიღებულ დიდ ქონებას.

„დემოკრატიული ელიტის" თეორიის მიხედვით, ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ ელიტას და არა მასას, რომელიც პასიურია, ცუდად ინფორმირებულია და აქვს მიდრეკილება ავტორიტარიზმისაკენ. ეს კონცეფცია მართებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუ ელიტაში განუწყვეტელი ცვლისა და განახლების პროცესი მიმდინარეობს. იმ შემთხვევაში, თუ ელიტა იქცა კარჩაკეტილ კორპორაციულ სისტემად, იგი თვითონ ხდება დემოკრატიული რეფორმების მუხრუჭი. ამიტომ, უფრო მისაღებია, რომ საზოგადოების ფართო მასები იყოს განათლებული, კარგად ინფორმირებული, მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე, სწორედ ასეთ საზოგადოებას შეუძლია დემოკრატიულ ღირებულებათა შენარჩუნება-განვითარება. ისე რომ, ხალხის სუვერენობა არც უტოპიაა და არც რომანტიული მითი.



**დავით ცაგარეიშვილი**

ბეწვის ხიდი



# „აფხაზმა შემოუთვალა, ფსოუზე შევხვდეთ, სახლის ფულს მოგცემო"...

ღმერთმა ჯერ ადამიანებად გაგვაჩინა, მერე ეროვნებებად და ერებად.

თითოეული ჩვენგანი ჯერ ადამიანია და მერე – ქართველი, რუსი, სომეხი, აფხაზი...

გაუგონარ ამბებს ყვებოდნენ და ყვებიან აფხაზეთიდან დევნილი ქართველები ცალკეულ ადამიანთა სისასტიკეზე, რასაც მხეციც კი არ იკადრებდა – აფხაზთა, კაზაკთა, ჩეჩენთა თუ სხვათა, ვინც აფხაზეთში, საქართველოს ძირძველ მიწაზე, ქართველთა წინაამდეგ ხელი აღმართა.

მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმ ფაქტების მომსწრე ჩვეულებრივი აფხაზების უმრავლესობას იმ წუთებში რცხვენოდა მათ მაგიერ, ზარავდა ის საშინელი ამბები. გავა დრო და ისინი თვითონ დაგმობენ, თვითონ შერცხვებათ იმ გაუგონარი სისასტიკისა და არაადამიანობისა, რაც სატანური ეიფორიის წუთებში მათმა თანამემამულეებმა გააკეთეს, ისევე შერცხვებათ, როგორც დღეს გერმანელს რცხვენია და ლაქად აზის ფაშიზმის ცოდვები.

ამის ფიქრისა და დასკვნის საფუძველს მაძლევს აფხაზეთის ქართველობის ნაამბობი ფაქტები იმის შესახებ, რომ ისევ მეზობელმა აფხაზმა დაინდო, დაეხმარა, გადაარჩინა, შეიფარა და, უბრალოდ, ადამიანური თანაგრძნობა გაუწია...

სწორედ ეს ფაქტი მაძლევს იმის ფიქრის საფუძველსაც, რომ ჩვენს შორის არ უნდა ჩადგეს მესამე, რომ ჩვენ უნდა დავდგეთ ერთმანეთის პირდაპირ და მოვრიგდეთ.

ახლა ამის პრეცედენტი უკვე არის და გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, რომ კონსენსუსამდე მივალთ.

ჩემს მეზობლად, ნათესავის ბინაში, უკვე თითქმის ხუთი წელია, ცხოვრობს აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი, მოხუცი ცოლ-ქმარი შვილებითურთ. რამდენიმე თვით სოჭში წავიდნენ საცხოვრებლად, აქ რომ ვერაფრით გაიტანეს თავი, მაგრამ იქაც გაუჭირდათ ჩაუწერავად ცხოვრება და ცოტა ხნის წინათ, ისევ თბილისში დაბრუნდნენ. სანამ აფხაზეთში ომი დაიწყებოდა, მოხუცი ცოლ-ქმარი ლესელიძეში ცხოვრობდა, მშვენიერი სახლი და კარ-მიდამო ჰქონდათ. ქალბატონმა მარიამმა (პუბლიკაციაში ყველა სახელი შეცვლილია) მიამბო:

– ხუთი წელია, მხოლოდ გადმოცემით ვიცით ჩვენი სახლ-კარის ამბავი. სოჭიდან ლესელიძემდე ორი ფეხის ნაბიჯია. ამ ზაფხულს ჩემს ქმარს გულმა აღარ მოუთმინა და შეიპარა, დაათვალიერა ჩვენი სახლი, მეზობლები ნახა (მეზობლები გვყავს რუსები, სომხები, აფხაზები). სახლი გადამწვარია, მარტო კედლებია დარჩენილი, ხეხილი კი ისეა დახუნძლული თურმე – კარალიოკები, ფეიხოა, მანდარინი, ფორთოხალი, ბიძინას გული სტკიოდა, თან უხაროდა, ხეხილი არ გამხმარაო. იქიდან სომეხმა მეზობელმა გამოაცილა. რომ ჩამოვიდა, შევეხვეწე, ნულარ შეხვალ, არაფერი მოგწიონ-მეთქი. არ მოუთმინა გულმა და მეორედაც შეიპარა, რას იზამ, მოხუც ადამიანს გული მაინც თავისი კერიისაკენ მიუწევს, თუნდაც ჩამქრალი იყოს. რომ ბრუნდებოდა, საზღვარზე ვიღაცას დაუბეზღებია, ის კაცი ქართველიაო და გააჩერეს აფხაზებმა და რუსებმა. გუდაუთაში მიჰყავდათ თურმე, მაგრამ ისევ აფხაზ მესაზღვრეს უთქვამს, გაუშვით, თავი გაანებეთ, მოხუცი კაციოა. უცემიათ, საბუთები წაურთმევიათ და ჩამოვიდა ფეხგასიებული და გულნატკენი, მაგრამ მაინც იმედიანი, რომ ჩვენს ეზოში ისევ სამოთხეა და ჩვენს სახლს, მართალია, გადამწვარს არავინ დაპატრონებიაო.

ქალბატონი მარიამის ქალიშვილები გაგრაში ცხოვრობდნენ ოჯახებით. იმათაც მშვენიერი სახლ-კარი ჰქონდათ.

– ნათელას სახლი გადამწვარია, გულიკოს სახლში კი აფხაზები ცხოვრობენ. რუსი მეზობელი ჰყავს, კარგი ქალია, იმისგან ვიცით, რომ იქამდე სხვები ცხოვრობდნენ, მაგრამ არ გაჩერდნენ და წავიდნენ. ამ აფხაზმა გულიკოს შემოუთვალა იმ რუსის პირით, ფსოუზე შევხვდეთ და სახლის ფულს მოგცემო. მაგრამ იმ ქალმა გულიკო გააფრთხილა, ფული არ აიღო, თორემ ვეღარ დაბრუნდებიო. გულიკომაც შეუთვალა, – სახლს არ ვყიდი, იცხოვრეთ, სანამ იცხოვრებთო, – არ გადაწვავენ მაინც...

ქალბატონი მარიამი ძალიან კარგი ადამიანია, გულთბილი და ხალისიანი ყველა გასაჭირისა და სატკივრის მიუხედავად. თავის აფხაზ და რუს მეზობლებს ყოველთვის კარგად იხსენებს და ამბობს – შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა, ზემოდან რომ არ აერიათ საქმე, ჩვენ დღესაც მშვიდად ვიცხოვრებდითო.

მიხარია, რომ ამ ხალხს დაბრუნების იმედი კიდევ აქვს, მგონია (თუმცა ისინი ამას ხმამაღლა არ ამბობენ), რომ ამ იმედითა და რწმენით ცოცხლობენ და სულდგმულობენ...

ჩვენ უნდა დავბრუნდეთ აფხაზეთში! ამ შემთხვევაში ნებისმიერ საშუალებას ამართლებს მიზანი – მე ეს ღრმად მწამს! რადგანაც საქართველო უაფხაზეთოდ ვერასოდეს იქნება საქართველო!

**ნინო ლურსმანაშვილი**

# საოცარი ექსპერიმენტი – ადამიანის გაახალგაზრდავება

## პარაფსიქოლოგიური პარაგრაფები

*ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა წერილი მალხაზ გველუკაშვილის საოცარი ექსპერიმენტის — ადამიანის გაახალგაზრდავების და სრული გაჯანსაღების შესახებ. მკითხველთა რეაქცია, იმის გამო, რომ არ იყო მითითებული მისამართი, არაერთგვაროვნად, აგრესიითაც კი გამოიხატა.*

*იმის გამო, რომ ამჟამად ბატონი მალხაზი მუშაობს კიდევ რამდენიმე ექსპერიმენტზე (ჯანდაცვის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ პირთა მეთვალყურეობის ქვეშ), ჯერჯერობით (მისი თხოვნის შესაბამისად) ისევ ვიკავებთ თავს მისამართის გამოქვეყნებაზე. დაინტერესებულ მკითხველს კი ვაცნობებთ, რომ ექსპერიმენტების დამთავრების შემდეგ გათვალისწინებულია სამკურნალო კლინიკის გახსნა (რის შესახებაც გაცნობებთ დამატებით).*

*ახლა კი გთავაზობთ ინტერვიუს გაგრძელებას მალხაზ გველუკაშვილთან.*

*– ბატონო მალხაზ, დასაშვებია თუ არა მკურნალობის ამ მეთოდის სწავლება?*

– რა თქმა უნდა, ოღონდ გასათვალისწინებელია პიროვნების უნარი და ბუნებრივი შესაძლებლობა. მე უკვე შერჩეული მყავს ექვსი ახალგაზრდა (18-დან 22 წლამდე ასაკის), რომლებმაც უკვე გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

*– აპირებთ თუ არა სამომავლოდ მათი რიცხვის გაზრდას?*

– კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგანაც 20 და 25 კაციან აუდიტორიას ვერასოდეს შეიყვან იმ სიღრმეებში, რასაც ეს სფერო მოითხოვს. ალბათ, დასაშვები იქნება ამ ჯგუფს მიემატოს კიდევ 1 ან 2 ახალგაზრდა, მათი ზნეობის, უნარის და აზროვნების საფუძველზე. რაც შეეხება პერსპექტივას, მომავალ წელს შეიძლება შეირჩეს კიდევ ახალი ჯგუფი.

*– სამკურნალო კლინიკის გახსნის შემთხვევაში ეს ახალგაზრდები უკვე შესძლებენ თქვენს გვერდით მუშაობას?*

– ნაწილობრივ. ამ ჯგუფში გაერთიანებული არიან სხვადასხვა განსაკუთრებული ბუნებრივი მონაცემების ახალგაზრდები. ვინაიდან, ფაქტიურად ადამიანი არის ფსიქო-ნერვიული, იმუნური, ნეირო-ენდოკრინოლოგიური და ნივთიერებათა ცვლის სისტემების სინთეზი, მათი მონაცემების მიხედვით ახალგაზრდები დაიყოფიან და თავისუფლად შესძლებენ ზემოთ აღნიშნული ამა თუ იმ სისტემაში მუშაობას.

*– გათვალისწინებულია თუ არა პროფესიონალი ექიმების თქვენთან ერთად მუშაობა?*

– რა თქმა უნდა, ეს აუცილებელიცაა – ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, კარდიოლოგის უროლოგის დახმარება და მეთვალყურეობა.

*– საინტერესოა, სპეციალობის გარდა რა დამატებით თვისებებს უნდა ფლობდნენ ეს ექიმები?*

– პირველ რიგში, უნდა ჰქონდეთ რწმენა და სიყვარული, ავადმყოფის მიმართ განსაკუთრებული, გულით მიდგომის უნარი, ანუ „ექიმად უნდა იყვნენ დაბადებულნი“.

*– უკვე შერჩეული გყავთ ისინი?*

– თითქმის.

*– იქნებ გაგვიზიაროთ, როგორ უყურებთ პოლიტიკას და რომელ პოლიტიკოსს სცემთ პატივს?*

– მე პოლიტიკისგან ძალიან შორსა ვარ, არ მაინტერესებს, რადგანაც თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონებით პოლიტიკა არ შეიძლება იყოს სუფთა. რაც შეეხება პოლიტიკოსს, პატივს ვცემ დავით აღმაშენებელს. ის პოლიტიკაში ერის აყვავების მისიით მოვიდა და იცოდა, რას იღებდა თავის მხრებზე. ზედმიწევნით კარგად იცოდა, როდის უნდა ყოფილიყო შეუწყნარებელი და როდის რბილი. ის თავის თავზე იღებდა ცოდვებს, რამეთუ იცოდა, რომ ერის კეთილდღეობისათვის ჩადენილი ცოდვა ის ცოდვაა, რომელიც ყველაზე მეტად მიეტევება ადამიანს უფლის მიერ... ჩემი აზრით, ჭკვიანმა პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, რას იღებს თავის თავზე, რისი გაკეთების უნარი აქვს. იგი, პირველ რიგში, ქვეყნიდან „ნაგვის გატანას“, ნაგავში ხელების დასვრას არ უნდა მოერიდოს, ერთი სიტყვით, „ნაგავზე ნაგავი კი არ უნდა დაამატოს“.

*– როგორ ფიქრობთ, დადებითად შეხვდებიან დღევანდელი პოლიტიკოსები თქვენი უნიკალური შესაძლებლობებით თანამედროვე მედიცინაში შემოსვლას?*

– ეს მათი საქმეა, მე არავის არაფერს ვახვევ თავს, მათ თავისი გზა აქვთ, მე ჩემი... ცხოვრებაში არაფერი ხდება შემთხვევით და ყველაფერი ღვთის ნებაა.



*ჩვენს გაზეთს ფენომენებზე არასოდეს უწერია ჰაი-ჰარად. ტრადიციას არც ამჯერად ვარღვევთ. გთავაზობთ იმ პროფესიონალთა კომენტარებს, ვისაც დღეს მალხაზ გველუკაშვილის ფენომენზე შეუძლიათ და უფლებაც აქვთ, თქვან ორიოდე სიტყვა:*

თემური გოგოლაძე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტალური და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიოფიზიკის განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი:

– ორგანიზმი და მისი ფუნქციური სისტემები წარმოადგენენ წყაროს, რომელიც ასხივებს უაღრესად სუსტი ელექტრომაგნიტური რხევების სიხშირეთა ფართო სპექტრს. ცოცხალი ორგანიზმის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სიხშირის სპექტრი მოიცავს ტალღის სიგრძის ფართო დიაპაზონს – ზეგრძელიდან ძალიან მოკლემდე. ამ რხევებს ფიზიოლოგიური ან ჰარმონიული ოსცილაციები ეწოდება და ის ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის არის დამახასიათებელი. პათოლოგიური ფაქტორების შეღწევისას ორგანიზმში წარმოიქმნება ეგრეთწოდებული პათოლოგიური ან დისჰარმონიული ელექტრომაგნიტური რხევების კერები, რომლებიც არღვევენ ფიზიოლოგიურ წონასწორობას და აზიანებენ კარგად აწყობილ თვითრეგულირების კიბერნეტიკულ სისტემას, რაც ორგანიზმის დაავადების უმთავრესი მიზეზია. გარდა ამისა, პათოლოგიური პროცესების განვითარებას და დინამიური წონასწორობის დარღვევას ხელს უწყობენ მძიმე ფიზიკური, ნერვიული, ფსიქიური თუ ეკოლოგიური დატვირთვები. დარღვეული დინამიური წონასწორობა ექვემდებარება ბიონერგეტიკულ კორექციას. ამისათვის საჭიროა მოვახდინოთ ორგანიზმზე ისეთი სახის ზემოქმედება, რომელიც რეზონანსში მოდის ფიზიოლოგიურ რხევებთან, ასუსტებს ან მთლიანად თრგუნავს პათოლოგიურ რხევებს და თანდათანობით აღადგენს დარღვეულ ფიზიოლოგიურ-დინამიურ წონასწორობას. ეს მოვლენა საფუძვლად უდევს ინფორმაციულ-ენერგეტიკული რეზონანსულ თერაპიას და ეხება მკურნალობის ისეთ მეთოდს, როგორიცაა ზენაზი ელექტრომაგნიტური რხევები, ანუ ბიოფიზიკური მეთოდი. მკურნალობის ასეთი ასპექტი მედიცინის მიერ არ განხილულა და მისი მოქმედების მექანიზმები ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი. ამ დროისათვის არსებული მონაცემები ცალკეულ ორგანოებსა და ქსოვილთა შორის არსებულ ინფორმაციულ-ფუნქციონალურ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არ არის საკმარისი პათოლოგიური პროცესების კერასა და ორგანოს ფუნქციის დარღვევას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად. საჭიროა, რეგისტრირებული და აღწერილი იქნას არა მარტო მთლიანი ორგანზმის აურის, არამედ ორგანოების ელექტრომაგნიტური გამოსხივების შესაბამისი პარამეტრებიც. მათი ანალიზი და შეფასება აუცილებელია ნორმისა და პათოლოგიის საერთო „პორტრეტის“ შესაქმნელად, რაც თავისთავად, ხელს შეუწყობს როგორც სწორი დიაგნოზის დასმას, ასევე ბიორეზონანსული თერაპიის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას.

მალხაზ გველუკაშვილის ფენომენმა, პაციენტების განკურნების არაჩვეულებრივმა შესაძლებლობამ ბიძგი უნდა მისცეს ბიორეზონანსული თერაპიის ექსპერიმენტალური და კლინიკური კვლევების განვითარებას. კვლევების შედეგად მიღებული მასალა და მალხაზ გველუკაშვილის უნიკალური შესაძლებლობა შესაბამისი კადრების მომზადებისა, საფუძველს ჩაუყრის საქართველოში XXI საუკუნის მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და პერსპექტიული მიმართულების – ენერგო-ინფორმაციული მედიცინის დამკვიდრებას.

*ალბათ, მკითხველისათვის საინტერესოა, რას ფიქრობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ტრადიციული მედიცინის მართვის დეპარტამენტის განყოფილების გამგე, ბატონი გოგი ლვალაძე, რომელიც ყოველდღიურად ადევნებს თვალს და აფიქსირებს, როგორ მიმდინარეობს მალხაზ გველუკაშვილის ექსპერიმენტები:*

*– როგორც ექიმი და არა როგორც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, რას განიცდით რომ ამ სასწაულებს ხედავთ?*

– პირველ რიგში, გაოცებას, გაოგნებას და აღფრთოვანებას, ვეხუმრე კიდეც ერთხელ ბატონ მალხაზს, შენი ავადმყოფები, როგორც ვხედავ, ყველანი გამოჯანმრთელდებიან და გაახალგაზრდავდებიან, მე კი ამ სასწაულების თვითმხილველი ნამდვილად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოვხვდები-მეთქი.

*– რა აზრისა ხართ კლინიკის გახსნის თაობაზე?*

– რასაც მე ვხედავ და ვაკვირდები, კლინიკის გარეშე ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელია ადამიანის გაახალგაზრდავების ექსპერიმენტის განმეორება, მადლობა ღმერთს, ნინო კობახიძეს ძალიან ჯანმრთელი გული აღმოაჩნდა (ალბათ, ერთად-ერთი ჯანსაღი ორგანო) მაგრამ ექსპერიმენტის განმეორების შემთხვევაში, გული აუცილებლად აპარატზე უნდა იყოს ჩართული, რადგანაც მთელი დატვირთვა გულზე მოდის, ავადმყოფი მარტო მალხაზის მეთვალყურეობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს, სისტემატიურ კონტროლს უნდა უწევდნენ პროფესიონალი ექიმები, რაშიც მალხაზიც მეთანხმება და უფრო მეტიც, თვითონვე მოითხოვს ამას, პირადად მე, თუ ამას მალხაზი საჭიროდ ჩათვლის, სიამოვნებით ამოვუდგები გვერდით, როგორც კარდეოლოგი და სიამაყითაც კი ვიმუშავებ მასთან, ასე ვთქვათ, დავუბრუნდები მედიცინას...

*– თქვენი აზრით, კლინიკა სტაციონარული უნდა იყოს თუ ამბულატორიული?*

– უფრო სწორი იქნებოდა შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი-სამკურნალო ცენტრი, სადაც უნდა განხორციელდეს, როგორც სტაციონალური, ასევე ამბულატორიული მკურნალობა.

*– როგორ ფიქრობთ, რა არის ექიმისათვის მთავარი?*

– ბევრი რამ, მაგრამ პირველ რიგში სუფთა სინდისი, პირადად მე, თუკი მომიხდებოდა ავადმყოფებისათვის ერთხელ დანიშნული პრეპარატის შეცვლა მეორეთი, საშინელ სინდისის ქენჯნას განვიცდიდი, გამოდიოდა რომ მე თავიდანვე ვერ განვსაზღვრე სწორად და ავადმყოფზე ექსპერიმენტი ჩავატარე, ზედმეტად მივალებინე მის ორგანიზმს თუნდაც ერთი ქიმიური აბი, მალხაზის მკურნალობის მეთოდით კი ყველაზე მეტად გასათვალისწინებელი და დადებითი, ალბათ, ის არის, რომ ვთქვათ, ავადმყოფი ვერ გამოჯანმრთელდა ბოლომდე (ყველაფერი დავუშვათ), მისი ორგანიზმი არ იღებს არავითარ მავნე ნივთიერებას, არავითარ ბიო-ქიმიური მუხტებს (რაც ხშირად ხდება ბიოველით მკურნალობისას). ენერგიული მაინც გახდება და ნაწილობრივ მაინც გამოჯანსაღდება.

*– მიაქციეთ ყურადღება, რომ მალხაზის ავადმყოფები სულიერ, დადებით გარდაქმნებსაც განიცდიან?*

– რა თქმა უნდა, ეს ალბათ, ყველაზე მეტად საინტერესო და დადებითი ფაქტია. პირადად მე, მასთან ურთიერთობის მერე ბევრ რაღაცას შევხედე სხვა თვალით.

**ნატა სალუქვაძე**



**დიდი ხანი არ არის რაც გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა ახალგაზრდა პოეტის გიორგი ლობჟანიძის ლექსების კრებული „დუღილის ტემპერატურა“. მისი ლექსების პირველი კრებული „ობლის კვერი“ 1991 წელს გამოიცა. მაშინ გიორგი XI კლასში სწავლობდა. წიგნადაა გამოცემული სპარსული ლიტერატურის „ოქროს ხანის“ ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედის ჯალალ ედდინ რუმის ლექსების მისეული თარგმანებიც...**

**კითხულობთ გიორგი ლობჟანიძის ლექსებს და მარად გარდაუვალ სულიერ ფასეულობათა სამყაროში მოქცეულნი კიდევ ერთხელ რწმუნდებით, რომ „თითოეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს. ჩვენ და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“ (ილია ჭავჭავაძე).**

**ის სულიერი სინატიფე, რომელიც მთელი ძალით გიზიდავს და გრძნობათა სამყაროში გითრევს, გიორგის ნიჭისა და შთაგონების თვისებაა, თვისება, რომელსაც სიყვარული ასხივოსნებს... უყვარს, სწორედ ამიტომაც ეძნელება საქართველოს დატოვება, თუმცა, დროებით, მაგრამ... როგორ თუ დატოვებაო, ალბათ, ბევრი გაიკვირვებს... ცნობისთვის, გიორგი ლობჟანიძე დღეს თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობს არაბული ლიტერატურის სპეციალობით. როცა ჩვენი ინტერვიუ დაიბეჭდება, იგი უკვე ირანში იქნება. ვუსურვოთ ნიჭიერ შემოქმედს წარმატებები, სიკეთითა და სიხარულით სავსე დღეების სიმრავლე და რაც მთავარია, გამარჯვება სიყვარულში!.**

*ნომრის სულიერი სტუმარი*

# სიცოცხლე განშორებით დაღდასმული სიყვარულის ისტორიაა

1974 წლის 20 თებერვალს დავიბადე ხაშურის რაიონის სოფელ ნაბახტევში.

ჩემს მშობლებს ხუთი შვილი უკვე ჰყავდათ, ხუთივე გოგო. დედაჩემი ხანშიშესული იყო, როცა მე გავჩნდი. ალბათ, ღმერთმა გადამარჩინა, რადგან თავიდანვე განწირული ვყოფილვარ. დედაჩემი, მალავდა თავის ფეხმძიმობას და ერთხელაც ბავშვის მოცილება გადაუწყვეტია. ჩვენს სოფელში ერთი ქადაგი ქალი ყოფილა, რომელიც სულ თეთრებში ჩაცმული დადიოდა თურმე... ერთ დღესაც, როცა დედაჩემი სახლიდან გამოსულა და ის არის ჭიშკარი უნდა დაკეტოს, რათა ხაშურში წავიდეს ექიმთან, ეს ქალი უცებ საიდანღაც გამოჩენილა და დედაჩემისთვის უკითხავს: სად მიდიხარო, დედაჩემს გაუცინია და პასუხი არ გაუცია. ახლა შენ ფეხმძიმედ ხარ, აუცილებლად ბიჭი გეყოლება, წმინდა გიორგიმ თავის სახელზე უნდა გაზარდოს და ნუ წახვალ ექიმთანო – უთქვამს ქალს და გზა გაუგრძელებია... სწორედ ამ ფაქტის გამო დაურქმევიათ ჩემთვის გიორგი...

მე ბედნიერი ვარ, რომ სოფელში დავიბადე... საერთოდ, რატომღაც მიღებულია, რომ პოეტი ჩაკეტილი, გარესამყაროს მოწყვეტილი არსებაა. მე შთაგონების ნაკლებად მწამს, რადგან ვთვლი, რომ შთაგონება თავისთავად არსებობს, მერე შრომით, მუშაობით მოდის ყველაფერი და ზოგჯერ შენი თავი უნდა აიძულო კიდეც, რომ იმუშაო. მე თუ რაიმე მაძლევს იმპულსს წერისათვის, ეს ადამიანებთან ურთიერთობაა... ამ თვალსაზრისით, სოფელმა ბევრი რამ მომცა. მე არ მინდა იდეალური სურათი დავხატო და ვთქვა, რომ სოფელში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ურთიერთობები კი ნამდვილად სხვანაირია. იქ სიკეთეც უფრო კარგად ჩანს და ბოროტებაც, თუმცა, ცალკეულ ადამიანზეა დამოკიდებული, სად გაატარებს ზღვარს სიკეთესა და ბოროტებას შორის.

● *„ქვაზე დადებული“ სიკეთისა თუ გჯერა, გიორგი?*

– მჯერა... პირადად მე არასოდეს მჭირდება გაანგარიშება ვინ რამდენი გაიღო, რომ ზუსტად იმდენივე დაუბრუნდეს. ლამაზი სიტყვებისთვის არ გეუბნებით, მაგრამ თუკი რაიმე სიკეთე გამიკეთებია, რაღაც [illegible]ით ყოველთვის მიმიღია მისი საფასური... ისე, მე მაინც ვთვლი, რომ სიკეთე გონივრულად უნდა დაიხარჯოს, ეს მას თავდაცვისათვის სჭირდება, რადგან ბოროტების თვისება ისიც არის, რომ სიკეთე თავის სამსახურში ჩააყენოს... ეს რაც შეეხება სიკეთესა და ბოროტებას, ახლა, ალბათ, ისევ ჩემს თავზე საუბარი უნდა გავაგრძელო, ხომ?.

● *რა თქმა უნდა...*

– 13 წლის ასაკამდე სოფელში ვიზრდებოდი, შემდეგ დედ-მამა გარდამეცვალა და ჩემმა დამ ხაშურში წამომიყვანა, სახლი დავკეტეთ... სკოლაც ხაშურში დავამთავრე, ოქროს მედალზე...მე მადლობელი ვარ ჩემი მასწავლებლების, რომლებიც ბევრ რამეში მიწევდნენ ანგარიშს. ცოტა ფიზიკის მასწავლებელი „მიხურებდა“ ხოლმე საქმეს, რადგან ფიზიკა ძალიან პოეტურ საგნად მიაჩნდა და გული წყდებოდა, რომ არ ვსწავლობდი... საერთოდ, სკოლის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება... ახლა, ამას რომ გიყვებით, მეცინება კიდეც... მე და ჩემი დისშვილი ერთად ვიზრდებოდით, ჩემი და ყოველთვის გვამოწმებდა, მიკვირს, თავი როგორ არ სტკიოდა, რადგან დღეში 14 საგანი უნდა მოესმინა. მე მუდამ ვცუღლუტობდი, ჰუმანიტარულ საგნებს კი ვსწავლობდი, მაგრამ მათემატიკასა და ფიზიკაში ჩემს გაკვეთილებს „იგივე“ ერქვა... სიგარეტის მოწევაც სკოლაში სწავლის დროს დავიწყე... საჭმელის გარეშე როგორმე გავძლებ, მაგრამ, როცა სიგარეტი არა მაქვს, გიჟს ვგავარ... არასოდეს არავისთვის არაფერი მენანება, აი, სიგარეტს კი ყოველთვის „ვეომჭავდი“ ხოლმე... ჰოდა, ერთხელ მოვდივარ ქუჩაში, როგორც ყოველთვის, სიგარეტიც მიდევს ჯიბეში, გადამიდგა წინ ერთი ბიჭი და სიგარეტი მთხოვა, არა მაქვს მეთქი, ვუთხარი და გზა გავაგრძე. გადავდგი თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, მომხვდა თავში გატეხილი აგური... მძიმე ტვინის შერყევა დამემართა, ორი კვირა ვიწექი (არ მეტყობაო? – იცინის)... ეს იყო და ეს ... მას შემდეგ სიგარეტი აღარავისთვის მენანება... მოკლედ, თავში ქვა უნდა მოგხვდეს ზოგი რამ რომ ისწავლო და შეიმეცნო...

სკოლა რომ დავამთავრე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სემიტოლოგიის განყოფილებაზე ჩავირიცხე უგამოცდოდ, რადგან უკვე გამოცემული მქონდა ლექსების პირველი კრებული „ობლის კვერი“ და ვიცოდი ორი ენა: გერმანული და სპარსული... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სემიტოლოგიის კათედრაზე დამტოვეს უფროს მასწავლებლად და ერთი სემესტრი ლექციებს ვკითხულობდი არაბულ ენასა და ლიტერატურაში... სტუდენტებთან ურთიერთობა განუზომლად დიდი ბედნიერება ყოფილა. თუ ოდესმე სადმე ვიმუშავებ, ალბათ, ისევ სტუდენტებთან.

● *გიორგი, როგორ გრძნობთ თავს ლექტორის როლში, შენ ხომ ჯერ სრულიად ახალგაზრდა, 23 წლის ხარ, კურსზე, ალბათ, შენზე უფროსებიც...*

– III-IV-V კურსთან სხვადასხვანაირი ურთიერთობა მქონდა იმის მიხედვით, თუ როგორ აეწყობოდა თავიდან ყველაფერი, რა თვალზე შემომხედავდნენ სტუდენტები.... ძირითადად ძალიან ლაღი და კარგი ურთიერთობა მქონდა მათთან, მაგრამ უხერხული მომენტებიც იყო ხოლმე, ზოგჯერ მავიწყდებოდა, რომ ლექტორი ვიყავი და ჩემდაუნებურად მერხისკენ მივდიოდი... ზოგჯერ „ბატონ გიორგისაც“ მეძახდნენ, აბა, მე რა ბატონი გიორგი ვიყავი?... მერე ისიც მითხრეს, ვერც კი წარმოვიდგენდით, შენ თუ ანეკდოტის მოყოლა შეგეძლოო, მაგრამ, ალბათ, ასეთი მომენტებიც საჭიროა მასწავლებლისა და შეგირდის ურთიერთობისას, საერთოდ, კი ვთვლი, რომ ადამიანთა ურთიერთობისას მთავარი, პირველ რიგში, სიყვარულია, მერე კი პატიების ნიჭი. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ ყველა ადამიანი დამოუკიდებელია თავისი გრძნობებით და უნდა გაუფრთხილდე მის გრძნობებს, როგორ საზიზღრადაც არ უნდა მოგეჩვენოს ისინი.

● *გიორგი, ალბათ, დროა პოეზიაზეც ვისაუბროთ. „დუღილის ტემპერატურა“ – შენი ლექსების მეორე კრებულია. საინტერესოა, რატომ შეარჩიე ეს სათაური და საერთოდ, პირველი ლექსი როდის დაწერე?*

პირველი ლექსი მესამე კლასში დავწერე... გაზაფხულზე იყო, თუმცა რითმის გრძნობა უფრო პატარას, ჯერ კიდევ ხუთი წლისას მქონია... ამ ცოტა ხნის წინათ ძველ ლექსებს ვათვალიერებდი, რა თქმა უნდა, ოსტატობასა და პროფესიონალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ მათში ყველაზე გულწრფელადაა დაფიქსირებული ჩემი ბავშვური განცდები და გული დამწყდა, რომ ლექსების უმეტესობა წლების წინ დავხიე...

რაც შეეხება „დუღილის ტემპერატურას“ მე ვერ ვიტყვი, რომ ეს ძალიან წინგადადგმული ნაბიჯია ჩემს შემოქმედებაში, მაგრამ სადაც წინსვლა იგრძნობა, სტილი, ჯერჯერობით, დაულაგებელია, ამიტომ დუღს ყველაფერი... მეორეც, კრებული სიყვარულზეა, სიყვარული კი დუღილია... ტექნიკური მხარეც რამდენადმე მოუწესრიგებელია და აქაც დუღს ყველაფერი.. ისე, მე უკვე წინასწარ ვიცი რა ერქმევა ჩემი ლექსების მომავალ კრებულს, თუკი, რა თქმა უნდა, რაიმე დამეწერება...

● *საიდუმლო ხომ არ არის?*

– არა, გეტყვით...„ჭირი იქა, ლხინი აქა“...

● *რატომ?*

– ორი-სამი წლის შემდეგ, როცა ამ კრებულს გამოვცემ, უკვე 25 წლის ვიქნები, 25 წელი კი საბოლოო დასასრულია ზღაპრების...

*მთელი ცხოვრება ზღაპრებით ვცხოვრობთ...*

... მე მიწის კაცი ვარ, ტყუილად კი არ მქვია გიორგი?.. საერთოდ კი, ჩემი ოცნება, იცით, რა არის? წლების მერე მქონდეს ქართულად თარგმნილი სპარსული მისტიური პოეზიის დიდი კრებული, უკვე წარმოდგენილიც კი მაქვს რა ფერის ყდა ექნება...

● *გიორგი, ჩვენ თავისთავად მივადექით თემას, რომელსაც არანაირად არ შეიძლება გვერდი ავუაროთ. როგორც ვიცი, წიგნად მხოლოდ სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ჯალალ-ედდინ რუმის ლექსების თარგმანები გაქვს გამოცემული... ამჟამად თუ თარგმნი რაიმეს?*

– სულ მალე მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკის გამოცემას ფიქრობენ. გამომცემლებმა წამაქეზეს და ჩემი დიდი სურვილიც იყო, რომ ჰაფეზი მეთარგმნა. ჰაფეზი მართლაც დიდი პოეტია და რაც ჩამოსული ვარ, მთელი ერთი თვის მანძილზე მის ლექსებს ვკითხულობ, მაგრამ რატომღაც მოხდა, რომ საადის თარგმნა დავიწყე... ჩემი თარგმნის სტილი, იცით, როგორია? ჯერ დიდხანს უნდა ვიკითხო იმ პოეტის ლექსები ვის თარგმნასაც ვაპირებ, შემდეგ, ერთ დღეს რომელიმე ლექსზე ხდება გონების კონცენტრირება და, თითქოს ქართული ლექსი იწერება... ჰაფეზის ლექსებიც დიდხანს ვიკითხე, მაგრამ ვერაფერი ვთარგმნე... მერე, სხვა პოეტებსაც გადავხედავ მეთქი და დასვენების მიზნით საადის პოეზია გადმოვიღე წასაკითხად, გადავშალე თუ არა წიგნი, თავისთავად წამოვიდა რაღაც და ორი ლექსი ვთარგმნე... ჰაფეზის თარგმანი არ გამომივიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, საადის ლირიკა თანდათან გამომდის... წიგნად გამოცემული არა, მაგრამ, თარგმნილი მაქვს ომარ ხაიამის რობაიები, სანაი... მართალია, ამ პოეტების შემოქმედების კარგი თარგმანები გვაქვს ქართულად, მაგრამ ყველა მთარგმნელი, ფაქტობრივად, საკუთარ თავს დებს ამ თარგმანში... ალბათ, შემდეგი კრებული საადის ლექსების თარგმანები იქნება...

● *გიორგი, როგორ ფიქრობ რითი სუნთქავს პოეზია და საერთოდ, რა განასხვავებს პოეტს სხვა ადამიანებისაგან?*

– იცით, ცხოვრებაში შეიძლება ბევრი რამ დამალო, მაგრამ, როცა ლექსთან რჩები პირისპირ, ვერაფრის დამალვას ვერ მოახერხებ. პოეზიის უმთავრესი თვისება გულწრფელობაა... ჩემთვის ცხოვრების მცოდნე, ცხოვრებიდან ამოსული პოეზიაა მისაღები... მე არ მიყვარს სპილოს ძვლის კოშკში გამოკეტილი პოეტები, ცხრა ფარდის იქიდან რომ იცქირებიან და არავითარი ადამიანური ნიშანწყალი არ ეტყობათ, რაღაც განყენებულ თემებზე წერენ დიდაქტიკურ თუ მშვენიერ ლექსებს...

რაც შეეხება განსხვავებას, ვთვლი რომ, როცა ამგვარ რაღაცაზე ფიქრობ, მაშინ პოეტიც აღარა ხარ უკვე... ერთხელ, ერთ ჩემს მეგობარს, ზვიად რატიანს ეკითხება ერთი ჟურნალისტი, თქვენთვის, როგორც პოეტისათვის, რას ნიშნავს სიყვარულიო? როგორ თუ პოეტისათვის, მე ასეთივე სიყვარული შემეძლებოდა ხელოსანი ან თუნდაც მეწაღე რომ ვყოფილიყავიო – უპასუხა ზვიადმა... მეტსაც გეტყვით, შეიძლება ერთი ლექსიც კი არ დაწერო ცხოვრებაში და პოეტი იყო... სტრიქონების ჩამოსხმის თვალსაზრისით ერთი ასეთი არშემდგარი პოეტი დედაჩემი მგონია. ზამთრობით იგი სახლში ჯეჯილს თესავდა ხოლმე, რომელიც სითბოზე ამოდიოდა... მეზობლებს უკვირდათ დედაჩემის საქციელი, რა უცნაური ქალი ხარო, – ეუბნებოდნენ. „რა ვქნა, სიმწვანე მენატრებაო“ – პასუხობდა იგი. ადამიანი ამას რომ იტყვის, ის უკვე პოეტია...

● *გიორგი, ქართველ ახალგაზრდებს ხშირად გვაკრიტიკებენ... როგორ ფიქრობ, მართლა ასეთი ცუდები ვართ?*

– ამდენი უბედურებისა და სისასტიკის შემხედვარე, მშვენიერი ახალგაზრდობა გვყავს, არა მგონია „ურიგო ბიჭები“ ვიყოთ... შეიძლება უამრავი ცუდი თვისება გვაქვს, მაგრამ ამით საერთო პროპორცია არ ირღვევა, რადგან სიკეთე, თუნდაც თავისი სისუსტით, მაინც ძლიერია... განა შეიძლებოდა, ერთ თაობაში ათი გალაკტიონი ყოფილიყო? იგი ერთი უნდა ყოფილიყო, გარეწარი კი რამდენიმე... მთავარი რა არის, იცით? საზოგადოება უნდა იყოს ისეთი, ის ერთი გალაკტიონი, იმ რამდენიმე გარეწარს რომ არ დააჩაგვრინოს...

● *გიორგი, მსოფლიოს ცოდვას თუ დაიდებდი „ადამს რომ ვაშლი შენთვის დაეთმო?“.*

– რატომ ცოდვას, კაცო? დიდი სიამოვნებით შევჭამდი. ადამმა თუ ერთხელ ჩაკბიჩა, მე მთლიანად შევჭამდი, ან ნახევარს ევას გავუყოფდი და ორივე ერთად შევჭამდით. ეს „ცოდვა“ ჩემთვის პირობითი ცნებაა. ადამს რომ ვაშლი არ შეეჭამა კაცობრიობა არ იარსებებდა... ხორციელი ცოდვა ურთიერთობის რაღაც ეტაპია და ეს ყველამ უნდა გამოსცადოს... კაცობრიობის ყველაზე დიდი ცოდვა შურია, მისგან მოდის ყოველგვარი ბოროტება.

● *ჩვენ საუბრისას რამდენჯერმე ვთქვით, რომ შენი ლექსების ახალი კრებული მთლიანად სიყვარულზეა, სიყვარული რა არის გიორგი?*

– სიყვარული ღმერთია... სიცოცხლე განშორებით დაღდასმული ერთი სიყვარულის ისტორიაა, სიკვდილი კი მეორე, ბედნიერი სიყვარულის ისტორიაა, რადგან შენს შეყვარებულთან პაემანი გაქვს... ეს ისე... საერთოდ კი, პლატონური სიყვარულის არ მწამს, მე თუ მიყვარს ადამიანი, ჩემ სიყვარულს ვერანაირად ვერ დავანაწევრებ...

● *გიორგი რამდენიმე დღეში შენ ირანში იქნები...*

– ძალიან მიჭირს საქართველოდან გამგზავრება... პატივს რომ არ ვცემდე იმ ადამიანებს, რომელთაც ჩემზე იზრუნეს და ელემენტარული პირობები შემიქმნეს იმისათვის, რომ მესწავლა და გააზრებული არ მქონდეს, საქართველოსათვის რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი, როგორც სპეციალისტის სამშობლოში დაბრუნება, დიდი სიამოვნებით ვიტყოდი უარს. მე როცა თბილისში, საქართველოში არ დავდივარ, თითქმის მკვდარი ვარ, ახლა ამას სხვა მიზიდულობაც ემატება ჩემი სიყვარულის გამო და... დედაჩემი ძალიან პოეტური ქალი იყო-მეთქი, გითხარით, ერთხელ მინდორში ვიყავით და მაჩვენა გვირილები, საღამოობით როგორ იხურებოდნენ და ნელ-ნელა მალავდნენ თავის გულს, იძინებენ... როცა საქართველოდან მივდივარ სადმე, სულ ეს გვირილები მიდგას ხოლმე თვალწინ...

**თამარ ოთიაშვილი**

*P. S .... გიორგი ლობჟანიძის ნაცნობ-მეგობრები უთუოდ დამეთანხმებიან, რომ მისი ნიჭის, რომანტიკული ბუნებისა და ესთეტიკური აზროვნების ადამიანი, წარმოუდგენელიც კია, პოეტი არ ყოფილიყო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უფასოა, მაგრამ... ფასიანია!

ზოგჯერ მინისტრებიც ხდებიან ავად და, მით უფრო, მათი მოადგილეები. რეალობას სად გაექცევიან – ისინიც ხომ ადამიანები არიან – თავიანთი ანატომიითა და ფიზიოლოგიით.

ავად ხდებიან, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის შემოქმედნიც.

– საწყლები! – მეტყვით თქვენ ირონიით, – ჩვენსავით ექიმთან მისასვლელი ფული რომ არ ჰქონდეთ, რა ეშველებათ?

კუკარაჩასი არ იყოს, – ეშველებათ რამე.

მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო შეაშველებს ხელს ფინანსურად, წამლებს ვილა დააყველრით, სულ კუნტრუშით მიურბენინებენ.

თქვენ კი იარეთ აფთიაქიდან აფთიაქში ქანცის გაწყვეტამდე და სადაც 20 ან 40 თეთრით იაფი იქნება წამალი, იქ იყიდეთ.

ანდა, სულაც ჰუმანიტარული დახმარების ხაზით შემოსულ ნიკოლოზისდროინდელ წამლებს შემოგაჩეჩებენ საავადმყოფოებში – ბევრგან ხომ დღესაც ხმარობენ ამ მედიკამენტებს, რომლებიც 2 და მეტი წლის ვადაგასულია და ზოგიერთი მათგანის მწარმოებლებმა 6 თვე დამატებითი ვადაც „გადაუწერეს“ – ინსტრუქციაში შავით თეთრზე უწერიათ: „декарственное средство нельзя применять по истечений срока годности“. ჩვენთან კი წარმატებით“ იყენებენ, არ კითხულობენ, რატომ აკრძალა მწარმოებელმა ამ მედიკამენტების ხმარება ვადის გასვლის შემდეგ, – იქნებ, საშიშ გართულებებს იწვევს?!

– ჩვენ გამძლეები ვართ, ჩვენზე ვადები არ მოქმედებსო, – გვამშვიდებენ. ვითომ ჩვენ ადამიანები არ ვიყოთ. აღექით და, მოითხოვეთ წამლის ინსტრუქცია, უარი თქვით ძველზე. მერე, რა გამოვა? – მაშინ ახლის ყიდვა მოგიწევთ, ამის ფული კი თქვენ არა გაქვთ – აი,ბედის დაცინვა!

საინტერესოა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი თუ დალევს, ან გაიკეთებს 2 წლის (თუნდაც 2 თვის) ვადაგასულ წამალს?

ალბათ, არა. ნამდვილად – არა (ღმერთმა ნუ დააჭიროს, რას ვერჩით, რა დაგვიშავა).

ჯანდაცვის სისტემის რეფორმა შემოქმედებითი პროცესიაო, – გვიმტკიცებენ, – მსვლელობისას ბევრი რამ დაიხვეწა, ბევრი – დაიხვეწებაო.

მაინც რა?

მაგალითად, ის, რომ გამოიყო პრიორიტეტული დაავადებები, რომელთა მკურნალობა სახელმწიფომ მთლიანად დააფინანსა. მათ შორისაა ონკოლოგიური დაავადებები, რომელთა მკურნალობა მოსახლეობისათვის უფასოა, თუმცა, მაინც ფასიანია. მაგალითად, ფიბრომის ოპერაცია და შემდგომი მკურნალობა პაციენტს, სულ ცოტა, 800-1000 ლარი უჯდება (და სახელმწიფო რას უხდის ამაში კლინიკას, ეს მას სულაც არ აინტერესებს). ფაქტი ის არის, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხიდან ქირურგი გროშებს იღებს, ამიტომ მადლიერ პაციენტს უხდება მისი „პატივისცემა“ და არა მარტო ქირურგის, სხვა პერსონალისაც, როგორც საბჭოურ პერიოდში იყო, თუმცა მაშინ ბალანსი შემოსავალსა (პაციენტის ოჯახურ ბიუჯეტსა) და გასავალს შორის შედარებით ნორმალურ მასშტაბებს მოიცავდა. შესანიშნავი ლოგიკა, უფასოა, მაგრამ... ფასიანია. ამ შემთხვევაში მე ვერ ვამტყუნებ ქირურგს, სინდისი არ მაძლევს ამის უფლებას – რადგან მას, მის კოლოსალურ შრომას, დიახ, კოლოსალურს, თვით სახელმწიფო დასცინის. ფაქტი კი ის არის, რომ თავს ვიტყუებთ და ერთმანეთს ვატყუებთ, მაგრამ „მე ვიცი, რომ შენ იცი, რომ მე ვიცი“, ანუ „შენ იცი, რომ მე ვიცი, რომ შენ იცი“ და მაინც გაიძახი – უფასოაო.



**საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმის „მამამთავარი“ თენგიზ ჯინჯოლავა „ბეწვზე გადაურჩა“ დიდ ხარჯს და მისი ხელდასმით რეფორმირებულ საავადმყოფოში უფასოდ იმკურნალა.**

თუმცა, ზოგიერთებისათვის მართლა უფასოა. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეს (ეკონომიკის დარგში) ბატონი თენგიზ ჯინჯოლავას ჯიბე (არ მაქვს ინფორმაცია, რა მდგომარეობაშია, სავსეა თუ ცარიელი, თუმცა ის ვიცი, რომ შარშან 1 სექტემბრიდან მინისტრის მოადგილეებმა ცოტა ამოისუნთქეს – 28 ლარის ნაცვლად, ხელფასი 120 ლარამდე გაეზარდათ) ბეწვზე გადაურჩა ვეარიან ხარჯს. საქმე ის გახლავთ, რომ ბატონ მინისტრის მოადგილეს რეფორმის ერთ-ერთ შემოქმედს, სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, რომელიც პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტში გაუკეთდა. ღვთის მადლით, გადარჩა, კარგად არის (კარგადაც ამყოფოს ღმერთმა და დიდხანს აცოცხლოს, დღეგრძელი ამყოფოს, ჩვენ არავისი ცუდი არ გვინდა). არადა, სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით, ეს ოპერაცია და შემდგომი მკურნალობის 25-დღიანი კურსი მაშინ 1100 ლარი ჯდებოდა (ახლა ეს თანხა გაიზარდა და 2300 ლარს შეადგენს – ლაპარაკია ანევრიზმაზე, მწვავე შემთხვევებზე). არა, ჯანდაცვის სამინისტროს დიდად არ გამოუჩენია თავი, რომ ეს თანხა დაეფარა. უბრალოდ ბატონი თენგიზ ჯინჯოლავას მეუღლე ნევროლოგიის ინსტიტუტში მუშაობს – ეპილეპტოლოგია და კლინიკის შიდაწესდების მიხედვით, თანამშრომლების ოჯახის წევრებს, თურმე, მკურნალობის ფულს არ ახდევინებენ. იღბალიც ასეთი უნდა!

შემდგომში, როცა გამოჯობინდა, ნეტავ თუ დაფიქრებულა ბატონი თენგიზ ჯინჯოლავა იმაზე (რას გადაეყკილე, და დამიშავა! მაგრამ, აქ ხომ აქცენტი არ არის ბატონ თენგიზზე, როგორც პიროვნებაზე, არამედ, როგორც ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ რეფორმატორზე), რა უნდა ქნას მსგავს სიტუაციაში აღმოჩენილმა ჩვეულებრივმა ადამიანმა, რომელსაც არ გაუმართლა და არც მეუღლე ჰყავს ექიმი, შემოსავალიც პურის ფულად ძლივს ჰყოფნის და არსაიდან აქვს საშველი (ცნობისათვის, მწვავე შემთხვევებში სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ თანხის 85 პროცენტს ქალაქის მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს, თუ პაციენტი თბილისელია, თუმცა, მუნიციპალიტეტს, როგორც წესი, თითქმის ყველა საავადმყოფოს ვალი აქვს – ვერ ახერხებს ამ თანხის დაფარვას).

დაიწყოს გულზე ხელები და მოკვდეს.

არა, ბატონო, ყველა თავისებურად რაღაცას „ჩალიჩობს“, – მეტყვით თქვენ.

ზოგჯერ, ალბათ, გამოსდით. თუმცა, ექიმსაც გააჩნია.

ჩემთვის ცნობილია ფაქტი, როდესაც გლდანის რაიონის 23-ე ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმს – ნევროპათოლოგ ნანა გოჯიაშვილს პაციენტის დედამ გულიკო დიასამიძემ ოფიციალურად გადასახდელი 6 ლარის ნაცვლად, 10 ლარი მისცა, ექიმმა კატეგორიულად იუარა, – რას ბრძანებთ, ქალბატონო, იმდენი წამალი გაქვთ საყიდელი, ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ფულს როგორ გამოგართმევთო (კვთილ ხალხს რა დალევს?!).

სხვა შემთხვევა: თუმცა 1 წლამდე ბავშვების მკურნალობას სახელმწიფო აფინანსებს და უფასოა (უკვე გითხარით, რასაც ნიშნავს „უფასოა“, თუმცა, თქვენ ჩემზე უკეთ იცით) საავადმყოფოში გატარებული 1 ღამე 8 თვის ბავშვის მშობლებს 55 ლარი დაუხვდეს – იცოდნენ, გამწარებული მშობლები შვილისთვის ქვას გახეთქავდნენ და ფულს გადაიხდიდნენ (რამ გაუქვავა ამ ხალხს გული?).

მაინც არ მიბრუნდება ენა ექიმებზე ცუდის სათქმელად, რადგანაც მათი დიდი უმრავლესობა, ალბათ, და პრაქტიკულად ყველა ექიმი, ვისაც პირადად ვიცნობ, შესანიშნავი ადამიანია, დარწმუნებული ვარ, არც ერთი მათგანი არ გააბრუნებს კაცს, წადი, ჯერ ფული მომიტანე და მერე მოგხედავო! – თუმცა, რამდენს, როდემდე? ანდა, ვინ იცის?!

„ბევრი რამ ხდება, ჩემო ჰორაციოს, ქვეყნად ისეთი...“.

რა მოგვიტანა რეფორმამ?

ან, საბოლოო ჯამში, რას მოგვიტანს (ეს, ალბათ, ხანგრძლივი პროცესი იქნება)?

და ამას დრო გვიჩვენებს.

თუმცა, ეს დრო ბევრ სიცოცხლესაც შეიწირავს, – უწამლობით, უფულობით, უექიმობით...

რეფორმა აუცილებელი იყო.

ამას აღიარებს თითქმის ყველა, შინაგანად ყოველი ადამიანი გრძნობს ამის აუცილებლობას. მაგრამ, ძნელად მინახავს რეფორმით კმაყოფილი კაცი.

რატომ?

ამასთან დაკავშირებით ჩვენ შემდგომშიც შემოგთავაზებთ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს.

**ნინო ლურსმანაშვილი**

## რეფორმა და საზოგადოება



# 20 ლარს
# ხომ კარგად იდებს ჯიბეში

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტში გარკვევით წერია: „სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო“. საქართველოს კანონში განათლების შესახებ, რომელიც მოიცავს საერთო განათლების სფეროს, მე-10 მუხლში ჩამოყალიბებულია სკოლამდელი აღზრდის მიზანი, რომ მან ბავშვი უნდა მოამზადოს სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს მისი აზროვნების, ემოციური სამყაროსა და ნებისყოფის ფორმირებას, მის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, ხელი შეუწყოს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას.

მაშ, რატომ დადის შემაძრწუნებელი ჭორები სკოლამდელ დაწესებულებათა თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ? ყველაზე შემაძრწუნებელი ის არის, რომ ეს ჭორები ნელნელა მართლდება.

დღეს, ამ ძნელბედობის ჟამს, რომელ ოჯახს შეუძლია იმ დიდი თანხის გადახდა, რომელიც კერძო ბაღებს სჭირდება? ალბათ, ძალიან ცოტას, 20 პროცენტსაც არა.

გაოცებას იწვევს საქართველოს განათლების სამინისტროს № 469-ე (1997 წლის 30 სექტემბერს დათარიღებული) ბრძანება სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

ბრძანებას ხელს აწერს 5 კომპეტენტური პიროვნება: განათლების მინისტრი თ.კვაჭანტირაძე, ფინანსთა მინისტრი მ.ჭკუასელი, ეკონომიკის მინისტრი ვ.პაპავა, იუსტიციის მინისტრი თ.ნინიძე, შრომის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მინისტრი თ.გაზდელიანი (დარწმუნებული ვართ). არც ერთი მათგანის შვილი და შვილიშვილი არ დადის სახელმწიფო საბავშვო ბაღში, ამიტომ რა ენაღვლებათ, რა ბედი ეწევა იმ უმწეო ოჯახებსა და იმ უმწეო თანამშრომლებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 20 ლარით განისაზღვრება).

განათლების სამინისტროს № 469-ე ბრძანებაში წერია „საქართველოს სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის მაქსიმალურად შენარჩუნების, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათზე განკუთვნილი სახსრების რაციონალური გამოყენებით, უმწეო ოჯახების ბავშვთა სოციალური დაცვის ამაღლების მიზნით, ებრძანებ“. აი, რას ბრძანებს განათლების მინისტრი: II პუნქტი, „1997 წლის 10 ოქტომბრიდან სკოლამდელ დაწესებულებებში (ბაგა-ბაღები, საბავშვო ბაღები) მუსიკის მასწავლებლის, II ცვლის აღმზრდელის, მზარეულის თანაშემწის, შრომის ანაზღაურება მოხდეს თვითდაფინანსების პრინციპით. და III პუნქტი: „ორ სააღმზრდელო ჯგუფზე დაწესდეს აღმზრდელის თანაშემწის ერთი საშტატო ერთეული.

ვაი, სირცხვილო!!! რა დაუნდობელი გადაწყვეტილებაა. აღმზრდელის თანაშემწეს, ანუ ძიძას, 20 ლარის შემოსავლით 40-45 ბავშვთან მოუწევს მუშაობა ორ ჯგუფში. უმწეო ოჯახების პატრონებს მოჰყავთ შვილები სახელმწიფო საბავშვო ბაღებში, რომ თვითონ სახლიდან გავიდნენ და რამეს ეწიონ, რომ შიმშილით არ მოკვდნენ და ჩვენ, საბავშვო დაწესებულების თანამშრომლები ვეუბნებით: – გინდათ, თქვენი შვილები ესთეტიკურ აღზრდას ეზიარონ? გადაიხადეთ ფული მუსიკის მასწავლებლის დასაქირავებლად, არა გაქვთ ფული? არ გეყოლებათ მუსიკის მასწავლებელი!“.

რა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს – გაჭირვებული ოჯახის წარმომადგენელი 18 სთ-მდე მუშაობს ოჯახი რომ არჩინოს, აღმზრდელი კი საბავშვო ბაღში 16 სთ. 12 წთ-ზე ამთავრებს მუშაობას, იმიტომ რომ II ცვლის აღმზრდელი აღარ იქნება. გინდათ იყოს II ცვლის აღმზრდელი? გადაიხადეთ ფული, მერე რა, რომ უსახსრონი არიან ჩვენი მშობლები, ფული მაინც უნდა გადაიხადონ!

საოცარია, რატომ დაიჩაგრნენ ასე განათლების სფეროს ეს დიდებული წარმომადგენლები – სკოლამდელები. 10 პროცენტიანმა შემცირებამ II ცვლის 0,5 განაკვეთზე მომუშავე მასწავლებელთა 30 პროცენტზე მეტი შეიწირა – უმუშევარი დატოვა და მომავალშიც, როგორც ჩანს, ბევრს შეიწირავს.

გვჯერა, ამ ბრძანების „შექმნაში“ მონაწილეობა არ მიუღიათ სკოლამდელი აღზრდის დარგის სპეციალისტებს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ამ გადაწყვეტილებას თვითდაფინანსების შესახებ, გადასინჯავენ, რადგანაც ეს ხომ მომავალში ბაგა-ბაღების დახურვის წინაპირობაა, ეს კი ნამდვილი „სასიკვდილო დარტყმაა“.

საინტერესოა, განათლების სამინისტროს № 469-ე ბრძანება ვის უკეთებს ეკონომიას – სახელმწიფო ბიუჯეტს თუ იმ უმწეო ოჯახებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოების 80 პროცენტს წარმოადგენენ?

ქ.თბილისის 53-ე საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე: ქ.ზარცხალაძე
აღმზრდელები: ლ.კვირველია, ნ.სვანიძე, ა.ჩიმაკაძე, ბ.შურღაია, ი.მანჯაფარაშვილი.

**სარედაქციო მინაწერი: სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის № 16-ში დაბეჭდილ პუბლიკაციაში („სასიკვდილო დარტყმა“) გამოთქმული მოსაზრება, რომ ჭორი სკოლამდელი დაწესებულებების მთლიან თვითდაფინანსებაზე გადასვლის შესახებ გამართლდება, საფუძველსმოკლებული არ აღმოჩნდა. მთავრობა პირდაპირ არ ანგრევს ამ სისტემას, ნელ-ნელა აცლის აგურებს და თავზე რომ დაგვემხობა ერთ მშვენიერ დღეს, მერე რაღას ვიზამთ? ჯერ მზარეული, მუსიკის მასწავლებლები, II ცვლის აღმზრდელები დაითხოვეს, ძიძას მოუმატეს სამუშაო (20 ლარს გაძლევთ და ერთ ჯგუფში ამ თანხის საფასური რა უნდა გააკეთოო?) — ერთის მაგივრად 2 ჯგუფზე გაამწესეს, მერე, ალბათ აღმზრდელებს დაითხოვენ, ყველა ასაკის ბავშვს ერთ ჯგუფში შეყრიან და ასე გააგრძელებენ „ზრუნვას“ სკოლამდელ დაწესებულებებზე მთლიან თვითდაფინანსებაზე გადასვლის მიზნის მიღწევამდე. როგორც ჩანს, მოქალაქეთა კავშირის წინასაარჩევნო დაპირება 1 მლნ სამუშაო ადგილზე მთავრობამ უკუღმა გაიგო, რომ 1 მლნ კაცი უნდა შეამციროს (ნეტა, თუ მუშაობს ამდენი მაინც ოფიციალურად?) და ესეც შენი გამოთავისუფლებული სამუშაო ადგილები! ვაშა მინისტრებო, აბა, თქვენ იცით, ასეთი შემართებით გააგრძელეთ! ისე, მე მგონი, ჯობდა სამინისტროებისთვის მიგეხედათ, თორემ ძიძა 20 ბავშვის მაგივრად 40-ს თუ მოუვლის, რა ბედენაა, ირბინოს მთელი დღე ერთი ჯგუფიდან მეორეში, აბა, როგორ უნდა, 20 ლარს რომ იღებს, ხომ კარგად იდებს ჯიბეში?**

**ვაი, სირცხვილო, სადამდე მივედით!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის დღიური

# ქანდაკებაში იკითხება თეატრი და თეატრის მიღმა - პიროვნება



ფესტივალის პირველ დღეს კინომსახიობთა თეატრის შენობის წინ გაიხსნა მიხეილ თუმანიშვილის ლიტებული ძეგლი.

* * *

დიდი პიროვნებები ძეგლებად წლებიან გარდაცვალების შემდეგ. ამიტომაც ბუნებრივად აღიქვა ფართო საზოგადოებამ მიხეილ თუმანიშვილის ქანდაკების დადგმა კინომსახიობთა თეატრის წინ, ამის წინააღმდეგი მხოლოდ ერთი ადამიანი იქნებოდა ახლა – თვითონ ბატონი მიხეილ თუმანიშვილი, რომელსაც არ უყვარდა ძეგლები და ყოველთვის მხოლოდ შრომას, მოთმინებას, თავმდაბლობას ასწავლიდა თავის მოწაფეებს.

ეს მისი ბუნებრივი პოზა იყო.

რაც შესანიშნავად გადმოგვცა ძეგლის ავტორმა, ცნობილმა მოქანდაკემ გია ჯაფარიძემ, რომელმაც ბრწყინვალედ შეძლო მიხეილ თუმანიშვილის პიროვნების მთლიანი არსის ჩვენება და იდენტურად გამოსახა თავის ნამუშევარში თუმანიშვილისეული თეატრის სიღრმე და სიხარტე, აზრის ლაკონურობა და შემართება, რაზეც ქანდაკების საოცრად მეტყველი თვალები მიუთითებენ და გაწვდილი ხელით დღესაც ასწავლის დიდი მასწავლებელი, თეატრის დიდოსტატი თავის მოწაფეებს, რომლებიც მრავლად არიან და იქნებიან, დღესაც თავისი უკვდავი სულით დიალოგს მართავს თეატრის შენობის წინ.

კრძალვით თავების დახრა გვიმართებს ამ მართლაც შესანიშნავი მამულიშვილის მაღალი ნიჭიერების, დიდი ადამიანურობის წინაშე.

ქანდაკებაც სწორედ ამ გრძნობას იწვევს უპირველესად, რომელშიც პიროვნების არსი გაერთიანებულია თეატრთან და პიროვნების ხასიათი თვით თეატრში და ასევე მის მიღმაც იკითხება, რაც ძეგლის ავტორისა და მთელი ქართული ქანდაკების სკოლის დიდ გამარჯვებად ჩაითვლება.

მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება ფესტივალის სტუმრების აზრი ბატონ მიხეილ თუმანიშვილის პიროვნებაზე:

**პილარ ვუდი – ვებერ დაგლასის დრამატული აკადემიის პროფესორი:**

– მადლიერებითა და სიყვარულით მოვიხსენიებ ამ ადამიანს, რომლის უკვდავი ხელოვნება ეკუთვნის არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს, რომლის თეატრი არის ყველაზე ჰუმანური და განსაკუთრებული ფენომენი თეატრის ისტორიაში. მიხეილ თუმანიშვილმა შემოიტანა ინოვაციები თეატრში. ჭეშმარიტებასთან ერთად და ასევე გამოსახვის ახალი საინტერესო ფორმები.

**ადამ ხანუშკევიჩი – პოლონელი თეატრალური რეჟისორი:**

– მიხეილ თუმანიშვილის თეატრი არის კეთილი, და არა ბოროტი ნიღბების თეატრი, რადგან მისი თეატრი ყოველთვის სიყვარულის, სიხარულის, სიცოცხლის მომხრე იყო. ნამდვილ თეატრს ყოველთვის ისეთი ადამიანები ქმნიან, ვისაც ბავშვი ჰყავს თვალებში, სწორედ ასეთი ადამიანი იყო მიხეილ თუმანიშვილი, რომელმაც თავის დროზე შექმნა საკუთარი თეატრი და შეძლო თავისი თეატრი ჩვენი, ადამიანური იდეების განხორციელებადი ექცია, მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეებმა კი არ უნდა მიახლიონ თუმანიშვილის თეატრის კოპირება, არამედ უნდა შექმნან საკუთარი თეატრი – აი, ეს გაუხარდებოდა მათ დიდ მასწავლებელს და ჩვენც ამის მომხრენი ვიქნებოდით.

მიხეილ თუმანიშვილის ძეგლის ასლები ხელოვნებაში გამოჩენილი წარმატებებისათვის გადაეცათ სამ უცხოელ ხელოვანს ვანესა რედგრეივს, პიტერ ბრუკსა და ადამ ხანუშკევიჩს.

# დღესასწაული, რომელიც არ არის ჩვენთან

ქღერდა პაკო პენას ცეცხლოვანი ფლამენკო ფილარმონიის დიდ დარბაზში, სადაც რიგრიგობით შემოდიოდნენ ფესტივალის სტუმრები: ადამ ხანუშკევიჩი, პილარ ვუდი, ვანესა რედგრეივი, ჯონ კინი, შერონ ლასნი, ნინა პარი, ვან ვისერი, მარია ბარლეტი და სხვები.

ფესტივალი, რომელიც ჩვენთანაა, და ამავე დროს არ არის ჩვენთან, რადგან ყველა აკრედიტირებულ ჟურნალისტს არა აქვს სპექტაკლებზე უფასოდ დასწრების უფლება, რადგან გაზეთები დაყოფილია კასტებად.

ცუდია, როცა არ გიწვევენ და ისე მიდიხარ სადმე, თუნდაც ქარვასლაში, სადაც (კიდევ გულუბრყვილოდ მჯეროდა), რომ რამე შეხვედრა შედგებოდა ფესტივალთან დაკავშირებით. არაფერი მსგავსი.

დემოკრატია ანიჭებს ადამიანებს თავისუფლებას და სამუშაო ადგილზეც თავისუფლებაა – ახალგაზრდობა ერთობა.

ნამდვილად არ მქონდა თავი, დაველაპარაკებოდი სპირტიანი სასმელისაგან სახეალეწილ ვილაც უცხო ეროვნების გრძელთმიან ჭაბუკს, რომელიც შეიძლება, არც იყო დაკავშირებული ფესტივალთან.

უიმედოდ დავტოვე ქარვასლა.

მაგრამ არის ყოველთვის საშველი, გზად ძველ გალერეაში შესანიშნავ გამოფენას წავაწყდი, – გია ბუღაძის ახალი ნამუშევრების გამოფენა იყო... გია ბუღაძე მაღალი დონის მხატვარია, აქ მის ნამუშევრებზე არ შევჩერდები, რადგან მასზე ცალკე წერილს ვაპირებ.

იქვე ვიღაცა ქალიშვილი ვანესა რედგრეივის წარმოდგენაზე საუბრობდა. ეს წარმოდგენა წინა დღეს იყო რუსთაველის თეატრში.

იყო შეხვედრაც ვანესასთან ვერიკო ანჯაფარიძის თეატრში. ყველაფერმა უჩვენოდ ჩაიარა.

ჯონ კინის შემოქმედების ჩვენება იყო კინოს სახლის მცირე დარბაზში. ფესტივალის მთელი პროგრამა გაზეპირებული მაქვს.

იმედი მქონდა, იქნებ სამეფო უბნის თეატრში მაინც შევსულიყავი თანამედროვე ფრანგულ ცეკვის ატელიეში მაგრამ, გულმა აღარ გამიწია.

ასეთია ფესტივალი ჩვენი სუბიექტური შეფერილობით.

ფესტივალი, რომელიც ჩვენთანაა,

და არც არის ჩვენთან...

**მიმოზა კვირკვია**

# ოვაციები დიდხანს არ შემწყდარა...

ფესტივალმა „საჩუქარმა" მართლაც ძვირფასი საჩუქარი მოუმზადა თბილისელ მაყურებელს – რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში წარმოადგინა გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის სპექტაკლი „მაკბეტი" თემურ ჩხეიძის რეჟისორობით.

უნდა ითქვას, რომ ამ სპექტაკლში შესანიშნავად გამოჩნდა შექსპირის სული, მისი ნაწარმოების სიღრმე, თუმცა დეკორაციებითა და მოქმედ გმირთა კოსტუმებით შეიძლება სხვა ეპოქაც გვეგრძნო შექსპირის გენიალობის ფონზე და ამას ყველაფერს ერთგვარი სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა. რითაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ შექსპირი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანირად იკითხება, საქართველოში ის ქართულია და მიუხედავად იმისა, რომ ქართველი რეჟისორის სპექტაკლი იყო, რუსულ თეატრში შექსპირი იყო ზუსტად ისეთი, როგორც რუსულ ხასიათს მიესადაგებოდა.

აღსანიშნავია მთელი დასის ბუნებრივი თამაში, კირილ ლავროვის, ალისა ფრეინდლიხის, გენადი ბოგაჩოვის გვერდით ეპიზოდური როლის შემსრულებლებიც საინტერესო პლასტიკით გამოირჩეოდნენ – განსაკუთრებით ქალები „კუდიანების" როლში.

ჟღერდა იდეის შესატყვისი შესანიშნავი მუსიკა, საინტერესო იყო გადასვლები ერთი მოქმედებიდან მეორე მოქმედებაში და მთელი სპექტაკლი ერთ დიდ დრამატულ, დაძაბულ შთამბეჭდავ სანახაობად აღიქმებოდა, რომლის დადასტურებაც იყო თბილისელი მაყურებლის რეაქცია: გადაჭედილ დარბაზში ტაში და ოვაციები დიდხანს არ შემწყდარა...

**მიმოზა კვირკვია**

სტატისტიკოსთათვის

## ყველაზე ძვირი ნახატები

•მსოფლიოს სახელგანთქმულ მხატვართა ნამუშევრები კოლექციონერებს, ბიზნესმენებს ყოველთვის იზიდავდა. „სოტბისის" კატალოგში ამას წინათ გამოქვეყნდა ყველა დროის ყველაზე ძვირი ნახატების ფასები. ამ სიაში პირველ ადგილზე არის ვან გოგის „დოქტორ გოშეს პორტრეტი", რომელიც 1990 წელს გაიყიდა 88,5 მილიონ დოლარად. მეორე და მესამე ადგილებიც ვან გოგის ნახატებზე მოდის. მისი „ირისი" 76,5 მილიონად, ხოლო „მზესუმზირა" 52,9 მილიონ დოლარად გაიყიდა. ორივეს ახალი მეპატრონე 1987 წელს გამოუჩნდა.

**ლადო ჯუმითელი**

საარვისო რეპლიკა

## შოკოლადი შუშის ნატეხით

რა საერთოა შოკოლადსა და ჩვეულებრივ შუშის ნატეხს შორის? მარტო ის არა, რომ ერთი ანუ კლოტისა არ იყოს, ორივე „შ"-ზე იწყება. არამედ ისიც, რომ შეიძლება მოკბიჩო შოკოლადი და შუშის მოზრდილი ნატეხი შეგრჩეს ხელში, უკაცრავად, კბილებში. სწორედ ასეთი რამ შეემთხვა ჩემს 4 წლის ბიჭუნას აჟთუკას, რომელსაც თურქული შოკოლადი „Oyal"-ი მოუტანეს. ჩაკბიჩა ფილა და იყვირა: „დედიკო, შუშა!" პირიდან, მართლაც, დაახლოებით 2 სმ სიგრძისა და 1 სმ სიგანის შოკოლადში ამოვლებული ჩვეულებრივი უფორმო შუშის ნატეხი გამოიღო – კიდევ კარგი, არაფერი გაეჭრა, ან არ გადაყლაპა! რა უნდოდა შუშას შოკოლადში? „საკითხავი აი, ეს არის!".

**ნინო ლურსმანაშვილი**

ინფორმაცია

## ფესტივალი - „ლვინობის"

თბილისში ჩატარდა გერმანიის გაერთიანების დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი „ლვინობისა". ფესტივალის ორგანიზატორი იყო საქართველო-გერმანიის საზოგადოება-კულტურის ცენტრი „შიმალი". ამ საზოგადოებას დიდი დახმარება გაუწია საქართველოს საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროებმა, სამხატვრო გალერეა TMS-მა.

ფესტივალი გაიხსნა გერმანელ და ქართველ მუსიკოსთა ერთობლივი კონცერტით. კონცერტი გაიმართა შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში.

სამხატვრო გალერეაში გაიხსნა სახვითი ხელოვნების გამოფენა. გამოფენილი იყო გერმანელი მხატვრის ფ.ზიფერტის და ქართველი მხატვრების ლ.ლადიძის და გ.მანჯავიძის ნამუშევრები.

სასტუმრო „მეტეხი-პალასში" გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი. მასში მონაწილეობა მიიღეს გრიტ კასპარ-დიაზ დე არკემ და კასპარ რენე ჰირშფელდმა. ამ საინტერესო ფესტივალის სპონსორი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ფესტივალი მიეძღვნა გერმანიის გაერთიანების დღეს, ბერლინის კედელი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთისაგან ჰყოფდა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას და საშინელი ტრაგედია იყო ორად გახლეჩილი ერისთვის, 1989 წლის 3 ოქტომბერს დაინგრა. სიმბოლურია ისიც, რომ ამ ავადსახსენებელი კედლის ნანგრევები სუვენირებად გაიყიდა.

საქართველოში ამ ფესტივალის გამართვა შემთხვევითი მოვლენა არ არის. გერმანიის გაერთიანებაში ხომ იმ პროცესებმა შეასრულა გადამწყვეტი როლი, რომელიც საბჭოთა იმპერიაში მიმდინარეობდა, ევროპწოდებული გარდაქმნის პერიოდში და ამ მოვლენებში საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. გარდა ამისა, საქართველოს და გერმანიას დიდი ხნის მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა აკავშირებს.

**ინგა კალანდია**

რეპლიკა

## ან რაღასა იქმთ, კოლეგებო?

ინგლისში აშიავითვე დაიჭირეს თაღარივი რუსეთის მეფის პეტრე პირველის ძეგლის აღსამართავად. საქმე ის არის, რომ ალბიონელები დიდი ამბით ემზადებიან რუსეთის იმპერატორის ინგლისში სტუმრობის 300 წლის აღსანიშნავად. საგანგებოდ შექმნილი საიუბილეო კომისიას ხელმძღვანელობს პრინცი ქენისი, მისი თქმით, კონკურსში მონაწილეობის მიღება მასპინძლებთან ერთად რუს მოქანდაკეებსაც შეუძლიათ. ეს ინფორმაცია ჩვენთვის საგულისხმო არაფრით იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი. პრინცმა პირდაპირ განაცხადა, რომ ინგლისში დასადგმელი პეტრე პირველის ქანდაკების ავტორობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია ქართველი ხელოვანი ზურაბ წერეთელი.

საინტერესოა, ახლა რას მოიფიქრებენ წერეთლის რუსი კოლეგები – პაკეტებს ხომ არ გამართავენ მოსკოვში ფოდი ბრიტანეთის საელჩოსთან?

**ლადო ჯუმითელი**

ჩვენი გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს მოსკოვში მარინა ლონაძეს ვულოცავთ ვაჟიშვილის შეძენას

„ახალგაზრდა ივერიელები"

## იყიდება

დიღმის მასივში გარემონტებული 3-ოთახიანი კუთხის ბინა მიშენებით. მეოთხე სართულზე. აქვს სარდაფი; ტელეფონი, მანქანის სადგომი. ფასი 17000 $.

ტ. 52-86-16 გურამი.

* * *

ან იცვლება სამარშრუტო მიკროავტობუსზე თანხის დამატებით (შესაძლოა აგარაკიც ახლომახლო სოფლებში) ერთოთახიანი სუფთა ბინა ტელეფონით, სარდაფით, პატარა ბაღით ოთხსართულიანის პირველ სართულზე მაღალ ბელეტაჟზე.

ტ. 73-62-57 მაია.

* * *

· ახალი სამედიცინო აპარატი „ისკრა-1". გამოდგება სტომატოლოგიურ, ნევროლოგიურ, დერმატოლოგიურ, გინეკოლოგიურ და სხვა სფეროებში. ფასი 250 $.

ტ. 73-50-22 ვიქტორია.

* * *

გერმანული წარმოების ძველებური საკონცერტო როიალი შედარებით მცირე ზომის. ფასი შეთანხმებით.

ტ. 39-36-25, 62-26-44 როზა.

## 20 ოქტომბერი ორშაბათი

7.30. „ალიონი";
18.00. „მოამბე";
18.10. ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში;
18.45. „ექიმის მოსვლამდე";
18.55. „50/50";
19.55. რამპა;
20.00. „მოამბე";
20.30. რეკლამა;
20.35. „ბასტი-ბუბუ";
20.55. პროფილი;
21.10. ამინდის პროგნოზი;
21.15. ტელესერიალი — „მარკო პოლო";
22.00. ვესტნიკი;
22.20. ვიდეოპატრული-02;
22.30. ქართული მხ. ფ. „თეთრი ბაირაღები".

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი";
19.20. შლაპრის ტელედარბაზი;
20.00. როგორ გაჩნდნენ ცხოველები;
20.35. „ანაბაზისი";
21.00. მოსკოვი-თბილისი;
21.25. ესტაფეტა;
21.45. არაჩვეულებრივი გამოფენა;
21.50. „ინფორმაცია მეორე არხი". რეკლამა;
22.15. ამერიკული მხ.ფ. „ჰომეროსი და ედი".

18.00. კურიერი — საინფორმაციო გამოშვება;
18.15. დოკ. ფ.;
18.45. დოკ. ფ.;
19.00. მანუნა;
19.30. „მეზობელი გოგონები" — ტელესერიალი;
20.00. „სიყვარულის უფლება" — ტელესერიალი;
21.00. კურიერი;
21.30. ამერიკული მხ.ფ. „გაქცევა";
23.40. „ლოს-ანჯელესის კანონი" სერიალი;
0.30. კურიერი;
0.45. ამერიკული მხ.ფ. „ფულის მატარებელი".

11.00. განვარჯიში;
11.35. მულტფილმები;
12.15. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი";
12.35. დოკ. ფ.;
13.30. ამერიკული მხ.ფ. „ლიფტი";
15.00. მუსიკა;
15.20. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები";
15.50. მუსიკალურ-გასართობი პროგრამა;
17.30. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი".

18.05. ... До шестнадцати и старше;
18.30. Сериал "100 лет приключений0;
19.20. "Девушка по имени судьба" сериал;
20.00. Погода;
20.10. Час пик;
20.35. "Угадай мелодию";
21.00. Программа В. Познера "Мы";
21.45. Спокойной ночи, малыши!;
22.00. Время;
22.45. Сериал"Полтергейст-2";
23.50. Клуб „Белый попугай";
0.40. Линия кино, „Как был завоеван запад",

## სამშაბათი 21 ოქტომბერი

7.30. „ალიონი";
9.00. „მარკო პოლო";
18.00. „მოამბე";
18.10. მესაკუთრე;
18.30. ეკა თევზაძის სიმღერები;
19.05. XXI;
19.25. კამერა-ტონი;
19.40. ლატარია „იბერია";
20.00. „მოამბე";
20.30. რეკლამა;
20.35. „ბასტი-ბუბუ";
20.55. პროფილი;
21.10. ამინდის პროგნოზი;
21.15. ტელესერიალი „მარკო პოლო";
22.00. ვესტნიკი;
22.20. ვიდეოპატრული-02;
22.30. ასპარეზი;
22.40. ფესტივალი „საჩუქარი";
22.55. ილია ჭავჭავაძე 160 წლისთავი;
23.15. რეტროპერსპექტივა;
0.00. „მოამბე";
0.10. ამერიკული მხ.ფ. „ხარეცლის უცნობები".

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი";
19.20. მულტფილმები;
19.45. „გრაცია აერობიკა";
20.00. ქართ. დოკ.ფ. „ნოდარ დუმბაძე";
20.30. დარბაზი;
20.50. „გოლი";
21.20. პოდიუმი;
21.30. „ინფორმაცია მეორე არხი". რეკლამა;
22.20. ფრანგული მხ. ფ. „ხვანის სიყვარული".

18.00. კურიერ-საინფორმაციო გამოშვება;
18.15. დოკ. ფ.;
18.45. დოკ. ფ.;
19.00. მანუნა;
19.30. „მეზობელი გოგონები";
20.00. „სიყვარულის უფლება" — ტელესერიალი;
21.00. კურიერი;
21.30. „სარკმელი" — მხ.ფ. „გულის მანკი";
23.30. „ლოს-ანჯელესის კანონი" — ტელესერიალი;
0.20. კურიერი;
0.35. რუსული მხ.ფ. „ბედის დაბრუნება".

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი";
12.30. დოკ. ფ. „ველური ბუნება";
13.30. ამერიკული მხ.ფ. „ამერიკელი";
15.00. მუსიკა;
15.30. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები";
16.00. გასართობი პროგრამა;
17.30. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი";
17.50. მულტფილმი.

18.05. До шестнадцати и старше;
18.30. "100 лет приключений сериал;
19.20. "Девушка по имени судьба";
20.00. Погода;
20.10. Час пик;
20.35. Угадай мелодию;
21.00. Тема;
21.45. Спокойной ночи, малыши!;
22.00. Время;
22.45. Ольга Аросева и Евгений Весник в музикальной комедии "Трембита";
0.30. Хоккей. Евролига."Торпедо"Ярослпвль' _ "ТПС" Финляндия';
1.45. Ночные серенады. Антонио Бандерас в фильме "Короли мамбо",

## ოთხშაბათი 22 ოქტომბერი

7.20. „ალიონი";
9.00. „მარკო პოლო";
18.00. „მოამბე";
18.10. XX საუკუნე. დრო და ადამიანები;
18.25. „მოამბე";
20.30. უჩარჩოოდ-კორნელი სანაძე;
18.55. „50/50";
19.55. ანონსი;
20.00. „მოამბე";
20.30. რეკლამა;
20.35. „ბასტი-ბუბუ";
20.55. პროფილი;
21.10. ამინდის პროგნოზი;
21.15. „მარკო პოლო";
22.00. ვესტნიკი;
22.20. ვიდეოპატრული-02;
22.30. პროგრამა „დღე";
22.45. ფესტივალი „საჩუქარი";
23.00. აუდიტორია;
0.00. „მოამბე";
0.10. ამერიკული მხ.ფ. „სკარლეტი". IV ნაწილი.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი";
19.20. შლაპრის ტელედარბაზი;
20.00. ქართული მოკლემეტრაჟიანი მხ.ფ. „ბედის უკუღმართობა";
20.30. კიკ-ბოქსინი;
21.00. „უკვდავნი";
21.20. სიყვარულის ასტროლოგია;
21.50. სიყვარულის ისტორია;
22.10. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი";
22.10. ქართ. მხ. ფ. „ჩემი ბიძები".

18.00. კურიერი — საინფორმაციო გამოშვება;
18.15. დოკ. ფ.;
18.45. დოკ. ფ.;
19.00. მანუნა;
19.30. „მეზობელი გოგონები";
20.00. „სიყვარულის უფლება";
21.00. კურიერი;
21.30. ამერიკული მხ.ფ. „დაკარგული კიდობნის მაძიებლები";
23.30. „ლოს-ანჯელესის კანონი" სერიალი;
0.20. კურიერი;
0.35. იტალიური მხ.ფ. „არაბული ღამეები".

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი";
12.30. დოკ.ფ. „ველური ბუნება";
13.35. ამერიკული მხ.ფ. „ძველი გრძნობები";
15.15. მუსიკა;
15.30. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები";
16.15. გასართობი პროგრამა;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი";
17.50. მულტფილმი.

18.05. До шестнадцати и старше;
18.30. "100 лет приключений". сериал;
19.20. "Девушка по имени судьба". сериал;
20.00. Погода;
21.10. Час пик;
20.35. Леонид Ярмольник в телеигре "Золотая лихородка";
21.10. Человек и закон;
21.45. Спокойной ночи, малыши!;
22.00. Время;
22.45. Пирс Броснас в телеигре "Гнев богини";
0.45. Док. детектив "Западня для "Шейха";
1.45. Ночные серенады. "эксцентрическая комедия "ночь в опере",



# ქვირის ტელეპროგრამა

## ხუთშაბათი 23 ოქტომბერი

7.30. „ალიონი";
9.00. „მარკო პოლო";
18.00. „მოამბე";
18.10. ანონსი;
18.15. მესაკუთრე;
18.30. ქალაქური პანგები;
18.45. „მერიდიანი";
19.05. პიგია;
19.25. სპა;
19.55. რამპა;
20.00. „მოამბე";
20.30. რეკლამა, ანონსი;
20.35. „ბასტი-ბუბუ";
20.55. „პროფილი";
21.10. ამინდის პროგნოზი;
21.15. ტელესერიალი „მარკო პოლო";
22.00. ვესტნიკი;
22.20. ვიდეოპატრული-02;
22.30. ფესტივალი „საჩუქარი";
22.45. „ქვა";
23.15. „მრავალსახეობა";
23.50. „მოამბე";
0.00. ამერიკული მხ.ფ. „ფული ყველაფერს წყვეტს".

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი";
19.20. მულტფილმები;
19.45. აერობიკა;
20.00. თამაში ბუაიერის ციხეში;
20.40. ჰოროსკოპი;
21.10. შვიდეული;
21.40. ელიტარული ქრონიკა;
21.45. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი";
22.10. ამერიკული მხ.ფ. „მიზერი".

18.00. კურიერი;
18.15. დოკ. ფ.;
18.45. დოკ.ფ. ;
19.00. მანუნა:
19.30. „მეზობელი გოგონები" — ტერესერიალი;
20.00. „სიყვარულის უფლება" — სერიალი;
21.00. კურიერი;
21.30. ქართ.მხ.ფ. „თოჯინები იცინიან";
23.00. „ლოს-ანჯელესის კანონი" — სერიალი;
23.50. კურიერი;
0.05. ამერიკული მხ.ფ. „ნიუ-ჯეკ სიტი".

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი";
12.30. დოკ. ფ.;
13.30. რუსული მხ.ფ. „დეზერტირი";
14.45. მუსიკა;
15.10. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები";
16.00. გასართობი პროგრამა;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი";
17.50. მულტფილმები.

18.05. До шестнадцати и старше;
18.30. "100 лет приключений сериал";
19.20. "Девушка по имени Судьба".сериал;
20.00. Футбол. Кубок кубков. 1/8 финала. "Локомотив"Москва' "Коджаелиспор"Турция';
22.00. Время;
22.45. Татьяна Догилева и Владимир Ильин в комедии "Стреьлец неприкаянный;
0.35. "Каскадёры". Мир трюков";
1.20. Худ. фильм "Австралийское танг".

## პარასკევი 24 ოქტომბერი

7.30. „ალიონი";
9.00. ტელესერიალი „მარკო პოლო";
18.00. „მოამბე";
18.10. საყმაწვილო ტელევიზია;
18.25. მულტფილმი „მურიანას სახლი";
18.55. 50/50;
19.55. ანონსი;
20.00. „მოამბე";
20.30. რეკლამა;
20.35. „ბასტი-ბუბუ";
20.55. „პროფილი";
21.10. ამინდის პროგნოზი;
21.15. ასპარეზი;
21.25. ლატარეა ყველასათვის;
22.00. ვესტნიკი;
22.20. ვიდეოპატრული-02;
22.30. პრესსტუდია;
23.00. ტელე-ხინე-ვიდეო;
23.40. საქმე;
0.00. „მოამბე";
0.10. ფესტივალი „საჩუქარი";
0.25. ინგლისური მხ.ფ. „შინა".

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი";
19.20. შლაპრის ტელედარბაზი;
20.00. თამაში ბუაიერის ციხეში;
20.45. მეოთხე;
21.10. რაგბი;
21.45. გუშინ;
22.00. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი";
22.25. ამერიკული მხ.ფ. „მოთვალთვალე".

18.00. კურიერი — საინფორმაციო გამოშვება;
18.15. დოკ.ფ.;
18.45. დოკ.ფ.;
19.00. მანუნა;
19.30. „მეზობელი გოგონები" — ტელესერიალი;
20.00. „სიყვარულის უფლება" ტერესერიალი;
21.00. კურიერი;
21.30. ამერიკული მხ.ფ. „ნამდვილი მაკოი";
23.20. „ლოს-ანჯელესის კანონი" — სერიალი;
0.10. კურიერი;
0.30. „სიმპსონები";
0.55. „ემოციები";
1.25. ამერიკული მხ.ფ. „ინდიანა ჯონსი და ბედისწერის ტაძარი".

11.00. განვარჯიში;
11.30. მულტფილმები;
12.15. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი";
12.30. დოკ. ფ.;
13.30. ინგლისური მხ.ფ. „საიდუმლოებანი და სიცრუე";
15.20. მუსიკა;
15.45. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები";
16.25. გასართობი პროგრამა;
17.30. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი";
17.50. მუსიკა;
0.05. მუსიკა;
0.35. ამერიკული მხ.ფ. „ღამის ფერი".

18.05. Музыкальная программа "50/50";
18.30. Сериал "100 лет приключений";
19.20. "Девушка по имени судьба";
20.05. Погода;
20.15. Здоровье;
20.45. Поле чудес;
21.45. Спокойной ночи, малыши!;
22.00. Время;
22.45. Худ. фильм "Коломбо сеет панику";
0.35. Взгляд;
1.35. Начной канал. Леонид Куравлев в народной комедии "Русский счёт".

## შაბათი 25 ოქტომბერი

9.00. „ცხრიდან-თორმეტამდე";
12.00. „მოამბე";
12.15. XXI;
12.35. მულტფილმი „მურიანას სახლი";
13.00. „კლუბი 700";
13.30. ქართული მხ.ფ. „იცოცხლეთ გენაცვალეთ";
15.00. კამერა-ტონი;
15.15. „ნატოს" ფესტივალის დახურვა;
16.40. „რეტროპერსპექტივა";
17.25. საესტრადო კონცერტი;
18.00. „მოამბე";
18.15. წარდგენა — თათია გიორგობიანი;
18.25. საქართველო და გარესამყარო;
18.55. პროფესიონალები — და...(ვოვა მენგელიძე);
19.30. საქართველოს კონსტიტუცია
20.00 მოამბე
20.30. რეკლამა
20.35. „ბასტი-ბუბუ";
20.55. „ვიდეოპატრული-02";
21.05. ამინდის პროგნოზი;
21.10. სტუდია მაესტრო;
22.30. ფესტივალი „საჩუქარი";
22.45. XX საუკუნე;
23.15. ილუზიონი: მხ.ფ. „მუსიკის პანგები";
24.00. „მოამბე".

9.00. პროგრამა „დილა" ამერიკული მხ.ფ. „მამის სახელით";
19.00. „ინფორმაცია მეორე არხი";
19.20. „ჩიპო";
20.00. „ერალაში";
20.05. „ჰპოვე სიმშვიდე მოძრაობაში";
20.25. სკოლა;
20.45. ოაზისი;
21.05. ავტოსპორტი;
21.25. ჯაზ-სპირიტი;
22.15. ამერიკული მხ.ფ. „ბრწყინვალება".

18.00. კურიერი;
18.15. მულტფილმი;
18.30. „გზა ევონლისაკენ" — საბავშვო სერიალი;
19.20. „ადამსების ოჯახი" — სერიალი;
20.00. ტელესერიალი. M.A.S.H.;
20.30. BOX OFFICE AMERICA;;
21.00. კურიერი;
21.30. „ფსიქო". მხ.ფ. „მბჟუტავი ალი";
0.15. კურიერი;
0.30. ინტიმური ფანტაზიები;
1.00. ამერიკული მხ.ფ. „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა".

12.00. საბავშვო პროგრამა „კოკროჭინა";
12.40. „რვაკუთხედი" — ბრძოლა წესების გარეშე;
13.40. საინფორმაციო გამოშვება „პოსტ-ფაქტუმი";
14.00. ინდური მხ.ფ. „როკის მოთამაშე";
16.20. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები";
17.00. მუსიკა;
17.30. „პოსტ-ფაქტუმი".
17.50. შოუ-პროგრამა „ჯაზ-პარნასი";
0.05. გასართობი პროგრამა;
0.40. ამერიკული მხ.ფ. „პოლიციელი გზაჯვარედინზე".

18.10. "Как это было". Новочеркаская трагедия 1862 года;
18.15. Джентльмен-шоу;
19.45. Погода;
19.50. Комиссар Катани в сериале "Спрут".4-я серия;
21.10. Телеигра "Эти забавные животные";
21.45. Спокойной ночи, малыши!;
22.00. Время;
23.00. Мировое кино. Аль Пачино и Роберт Де Ниро в полицейском боевике "Схватка";
2.00. Коллекция 1-го канала. Огни Гонкога в фильме "Чунгкинохий экспресс",

## კვირა 26 ოქტომბერი

9.00. „ცხრიდან-თორმეტამდე";
12.00. „მოამბე";
12.15. ანონსი;
12.20. სპა;
12.50. რეიტინგი;
13.00. „თბილისობა";
16.00. „თბილისო ჩემო!...";
16.20. საბავშვო პროგრამების სტუდია წარმოგიდგენთ;
17.20. „თანმხლები სულები";
17.50. „სპორტლოტო";
18.00. „მოამბე".
18.10. წარდგენა;
18.20. მოზაიკა;
19.00. აფხაზეთის ტელევიზია;
19.40. ანსამბლი „თბილისი";
20.00. ინტელექტუალები;
20.45. როდის;
21.00. „მსგეფსი".
21.45. რეკლამა;
21.50. „ვიდეოპატრული-02";
22.00. ამინდის პროგნოზი;
22.05. სატელევიზიო კინოდარბაზი;
23.45. ფესტივალი „საჩუქარი";
0.00. „მოამბე";
0.15. ქართული მხ.ფ. „აბეზარა".

9.00. პროგრამა „დილა". ამერიკული მხ.ფ. „ანტონიუსი და კლეოპატრა";
19.00. მულტფილმები;
19.45. გრაცია-აერობიკა;
20.00. „საუბრის თემა";
20.30. მისია;
20.45. მოკლემეტრაჟიანი მხ.ფ. „მშიანეთი";
21.35. ოლიმპო;
21.55. „ვარსკვლავები გვამცნობენ";
22.30. ამერიკული მხ.ფ. „იაპონელი პოლიციელი".

18.00. კურიერი;
18.15. „გზა ევონლისაკენ" — საბავშვო ტელესერიალი;
19.05. „მონტი პაიტონი" — სერიალი;
19.40. ტელესერიალი M.A.S.H. ;
20.10. „საიდუმლო მასალები" — სერიალი;
21.00. კვირა-საინფორმაციო-ანალიტიკური გამოშვება;
21.45. „საიდუმლო მასალები" სერია;
22.15. ფრანგული მხ.ფ. „ქალი და მამაკაცი";
0.30. კურიერი;
0.45. „სიმპსონები";
1.00. „ემოციები";
1.30. ფრანგული მხ.ფ. „პოლიციელის სიკვდილი";
3.45. „ინტიმური ფანტაზიები".

12.00. მულტფილმები;
12.40. დოკ. ფ. „რვაკუთხედი";
13.45. მუსიკა;
14.00. ამერიკული მხ.ფ. „მამის შეთქმულება";
16.00. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები";
17.10. „ჯაზ-პარნასი";
18.00. მუსიკა;
0.05. გასართობი პროგრამა;
0.35. ამერიკული მხ.ფ. „მარტოხელა".

18.20. Л. Якубович в телеигре "Колесо истории";
19.05. Футбольное обозрение;
19.45. КВН-97;
21.50. Киноафиша;
22.00. Время;
22.45. Одри Хепберн и Питер О Тул в легендарной комедии "Как украсть миллион";
0.55. "Приглашение к музыке";
1.35. Сюзан Сарандон в триллере "Клиент",

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იქნება ნაკრების მთავარი მწვრთნელი?



აი, კითხვა, რომელიც „რატომღაც“ ასე აქტუალურად წამოიჭრა და, რომელიც ასე აღელვებს ფეხბურთის გულშემატკივარს. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრების თავკაცმა დავით ყიფიანმა ჯერ კიდევ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო ტურის მატჩის წინ (პოლონეთის ნაკრებთან) გააკეთა განცხადება თავისი პოსტიდან წასვლის შესახებ. არადა, თუ ყიფიანის ხელმძღვანელობით ჩვენი ნაკრების შედეგებს გადავხედავთ, წესით, მწვრთნელს ასეთი ნაბიჯი არ უნდა გადაედგა. თავად განსაჯეთ – ექვს ოფიციალურ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს 3 გამარჯვება, 1 ფრე და ორი დამარცხება ჰქონდა, ბურთების სხვაობაც ჩვენს სასარგებლოდაა – 7-6; ყიფიანის აქტივში უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენი ნაკრების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით, 7:0 გამარჯვება „ისტორიულ“ მეტოქე-მეზობელ სომხეთის ეროვნულ ნაკრებთან (მერე რა, რომ ამხანაგური მატჩი იყო). იმ სომხეთის ნაკრებთან, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ერთი-მეორის მიყოლებით ამწარებდა პორტუგალიის, უკრაინისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებებს. ან წელან ის ერთი ფრე რომ ვახსენეთ, გავიხსენოთ, თუ ვისთან მიაღწიეს ყიფიანის „რჩეულებმა“ – მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ იტალიის ნაკრებთან! და სწორედ ჩვენთან ვერგამარჯვებამ გაურთულა აპენინელებს საქმე და ახლა რუსეთის არცთუ ხელწამოსაკრავ ნაკრებთან ორმატჩიან პაექრობაში გამარჯვება თუ მოუტანთ საფრანგეთის საგზურს. თუმცა იტალიელებს და მათი ნაკრების მთავარ მწვრთნელს ჩეზარე მალდინის თავიანთი სატკივარი აქვთ და ჯობია, „თავი დავანებოთ“ და ისევ ჩვენს ნაკრებს „დავუბრუნდეთ“.

მაშ, ასე – დავით ყიფიანს ნაკრების მთავარი მწვრთნელობა აღარ სურს და თუ რატომ, იმედია, თავადვე გაგვცემს პასუხს იმ დაპირებულ პრეს-კონფერენციაზე, რომელსაც ასე მოუთმენლად ველით (და არა მარტო ჟურნალისტები) და რომელსაც ბატონი დავითი, ალბათ, პორტუგალიიდან (სადაც მასაც და „დინამოსაც“ წარმატებულ თამაშს ვუსურვებთ უეფას თასზე „ბრაგასთან“) ჩამოსვლის შემდეგ გამართავს. ჩვენ საკუთარი ვერსიის გამოთქმაზე (ყიფიანის გადადგომის თაობაზე) ამჯერად თავს შევიკავებთ, ანუ, უბრალოდ, აღარ განვმეორდებით (იხილეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ წინა ნომერი). აი, რაც შეეხება ოფიციალურ, ანუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვერსიას, იგი ასეთი გახლავთ – ნაკრების მთავარი მწვრთნელს ამ ორგანიზაციის (ესე იგი, სფფ-ს) ალმასკომი ნიშნავს და სავარაუდოდ, ნოემბერში დანიშნული ალმასკომის სხდომაზე გაირკვევა კიდევაც, ვინ იქნება ჩვენი ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ერთიც არის, არ არის გამორიცხული, რომ დავით ყიფიანი ისევ დარჩეს (რაც ლოგიკასთან ძალიან ახლოს არის) თავის პოსტზე – თუ, რა თქმა უნდა, სფფ-ს ალმასკომი „ასე ჩათვლის საჭიროდ“, ან კიდევ, იგივე სფფ-ს ალმასკომი „დაპირდება“ და „შეუსრულებს“ ყველა იმ პირობას, რომელსაც დავით ყიფიანი წამოაყენებს (თუ, რა თქმა უნდა, ექნება კიდეც ამ უკანასკნელს ამის სურვილი).









დავუშვათ და ყიფიანმა „მართლაც“ აღარ მოისურვა ნაკრების მთავარი მწვრთნელობა, მაშ ვის ჩააბარებს სფფ-ს ალმასკომი ესოდენ საპასუხისმგებლო პოსტს? არადა, ჩვენი ფეხბურთის „მამებს“ მართლაც რომ ძნელი გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ – ბოლოსდაბოლოს, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალურმა ეტაპმაც უჩვენოდ ხომ არ უნდა ჩაიაროს? არადა, საბედნიეროდ, ფეხბურთელები (თან, არა ერთი და ორი) გვყავს საიმისოდ, ეს უკვე არცთუ გადაუჭრელი ამოცანა რომ შესრულდეს და სწორედ მათი თავკაცის (ვინც იქნება) უნარიანი და სწორედ არჩეული მუშაობა უნდა გახდეს კიდეც ამის საწინდარი. კანდიდატებად კი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე (ისევ და ისევ ყიფიანის ჩათვლით) რამდენიმე ცნობილი და დამსახურებული პიროვნება (და არა მარტო როგორც წარსულში ჩინებული ფეხბურთელები) გვეგულება. დავიწყოთ ვლადიმერ გუცაევით, რომელმაც, მართლაც რომ ბევრისთვის მოულოდნელად, ჩინებულ შედეგს მიაღწია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან მუშაობის დროს. აბა, ვის ეგონა, როცა შესარჩევი ტურნირის სტარტზე განცდილი ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ გუცაევის „ბიჭები“ ასე „ათამაშდებოდნენ“ და მეტოქეს-მეტოქეზე შემუსრავდნენ? ან ვის ეგონა, რომ საბოლოოდ ჯგუფში მხოლოდ ინგლისის ნაკრებს ჩამორჩებოდნენ და უკან მოიტოვებდნენ იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში „მილანის“, „იუვენტუსის“, „პარმას“, „ინტერისა“ თუ „ნიუკასლის“ ძირითადი (!) მოთამაშეები გამოდიოდნენ? ვლადიმერ გუცაევის, როგორც მწვრთნელის, პროგრესი აშკარაა და ამიტომაც გვესახება კიდეც მისი კანდიდატურა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ ყველაზე რეალურად. ასევე რეალურია რეზო ძოძუაშვილის კანდიდატურაც, პიროვნების, რომელმაც ჯერ თბილისის „დინამოში“, შემდეგ კი რუსთავის „გორდაში“ მართლაც რომ შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. არც იმის დავიწყება იქნება, რომ ამჟამად რეზო ძოძუაშვილი რიგის „სკონტოს“ კონსულტანტიც გახლავთ და სწორედ მისი დიდი წვლილიც არის, რომ ერთ დროს ყველასთვის „გემრიელ ლუკმად“ მიჩნეული ლატვიური კლუბი დღეს „ბარსელონებსა“ და მისნაირ გრანდებს ტოლი-ტოლზე ეთამაშება; თანაც რეზო ძოძუაშვილი... ნაკრებში დავით ყიფიანის მოსვლისთანავე მის დამხმარედ მუშაობდა (გნებავთ, მეორე მწვრთნელი დავარქვათ) და როგორც მან ბოლო დროს მის მიერ მიცემულ რამდენიმე ინტერვიუში განაცხადა, ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე იგი თავის კანდიდატურას არ წამოაყენებდა. მიზეზი, მართლაც „კაცურია“ – უბრალოდ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მას დავით ყიფიანთან კოლეგიალობის გარდა მეგობრობაც აკავშირებს და ამიტომაც მისი მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა მიუღებლად ეჩვენება. თუმცა, ისევ ბატონ რეზოს სიტყვებს რომ დავესესხოთ: „...აი, დავით ყიფიანი ავადმყოფობის გამო რომ მიდიოდეს, მაშინ, სხვა საქმეა, შეიძლება, დავეთანხმე კიდეც...“

დაბოლოს, კიდევ ერთ კანდიდატზე, რომელიც, რატომღაც, ბევრს „ავიწყდება“. საუბარია დავით ყიფიანის წინამორბედ და ამჟამად სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეზე. დიახაც, იმ ჩივაძეზე, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტარტზე განცდილი ორი მარცხის გამო საკუთარი განცხადებით ნაკრების მთავარი პოსტი დატოვა. ბატონი საშა წლევანდელი იანვრიდან (გადადგომის თვიდან), ცოტა არ იყოს, ჩრდილში მოექცა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დუმილს ამჯობინებს პრესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, რატომ არ უნდა ჰქონდეს იგივე ჩივაძესაც პრეტენზია (თანაც, არცთუ უსაფუძვლო) კვლავ ჩაუდგეს სათავეში ეროვნულ ნაკრებს? განა ჩივაძე არ იყო, ვისი ხელმძღვანელობითაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ასეთი დონის ასპარეზობის დებიუტანტ საქართველოს ნაკრებს მესამე ადგილი რომ მოაპოვებინა? ასეა თუ ისე, სულ მალე (და ეს სასურველია, პირველ ყოვლისა, თავად ფეხბურთელებისათვის) შევიტყობთ, თუ ვინ იქნება ჩვენი უპირველესი და უსაყვარლესი გუნდის (ერთობ საპატიო სახელი – საქართველოს ეროვნული ნაკრები რომ ჰქვია) მთავარი მწვრთნელი.

## სპორტი

გვერდი მოამზადა გია ტუხაშვილმა

სამბო

# მსოფლიოში პირველები, ოღონდ „მცირე“ ხარვეზებით...



მამუკა კურდღელაშვილი



დავით ხახალეიშვილი

საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა თბილისში ახლახანს დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა! როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, ასპარეზობის ბოლო დღეს გუნდური პირველი ადგილის მისაღწევად სამივე წონით კატეგორიაში ქართველ სამბისტებს აუცილებლად სჭირდებოდათ მაქსიმალური შედეგების მიღწევა და ასეც მოხდა – ახალგაზრდა ლაშა ფიფიამ ვერცხლის, ხოლო შედარებით გამოცდილმა მამუკა კურდღელაშვილმა ოქროს მედლები მოიპოვეს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონით კატეგორიაში ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში სულ ბოლო მომენტში ჩარიცხული დავით ხახალეიშვილის შთამბეჭდავი გამარჯვება, როდესაც ქუთაისელმა ფალავანმა არანაირი შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს. ძიუდოში ყველა არსებული ტიტულის მფლობელმა დავით ხახალეიშვილმა თავისი მართლაც მდიდარი ტიტულების კოლექცია კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლით შეავსო – ოღონდ, ამჯერად სამბოში.

მაშ, ასე – ჩვენი ნაკრების თავკაცის, ოლეგ იაძის წინასაჩემპიონატო დანაპირები გუნდურ პირველი ადგილის მოპოვებაზე, შესრულებულია, რაც ამ ბოლო დროს ქართველი სპორტსმენების საერთაშორისო აჱპარეზზე წარუმატებელი გამოსვლის ფონზე, მართლაც რომ შთამბეჭდავად გამოიყურება. წერილის დამთავრება ასეთი ამაღლებული განწყობილებით გვინდოდა, რომ არა ჩემპიონატის ორგანიზებასა თუ მსაჯობაში დაშვებული არცთუ მცირე ხარვეზები. კი, გასაგებია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა (თანაც, ჩვენისთანა ქვეყანაში) იოლი საქმე არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც შეიძლებოდა სასტუმრო „აჭარის“ (სადაც პირველობის მონაწილენი ცხოვრობდნენ) წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგებაში შეფერხებები (თანაც, ერთობ სერიოზული) რომ არ ყოფილიყო. მაგრამ, ეს კიდევ არაფერი, რადგან ეს ჩვენთვის არის ჩვეულებრივი მოვლენა და შეიძლება, უცხოელებსაც რაღაც წარმოდგენა ჰქონდათ, თუ სად მიდიოდნენ, აი, რაც შეეხება მსაჯობას... აქ კი, ალბათ, კომენტარი ზედმეტია და თუ რატომ, ძალიან მოკლედ გეტყვით – 9 წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა არა 9 ფალავანმა (როგორც საერთოდ ხდება ხოლმე), არამედ... თერთმეტმა!... უბრალოდ, ორ წონით კატეგორიაში მსაჯებმა დამარცხებულ ფალავნებს – „გული არ დაწყვიტეს“ და... ისინიც ოქროს მედლებით დააჯილდოვეს...

ძიუდო

# ... და მაინც ჩვენ უფრო მეტი გვინდა!

ცოტა უცნაურია, მაგრამ ფაქტია – საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, სპორტის ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიო ჩემპიონი ჯერ არ ჰყოლია. აი, უკვე მეშვიდე წელიწადი იწურება, რაც ცალკე სახელმწიფო ვართ და ვერა და ვერ მოხერხდა სანუკვარი ოქროს მოპოვება. არადა, როგორც წესი, ამ წარმატებას ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებისაგან ველით, მაგრამ ხან „მცირედი გვაკლდება“, ხან მსაჯები „გვჩაგრავენ“, ხან ეს „ოხერი უიღბლობა“ გვიშლის ხელს და ასეა დაუსრულებლად. არ დავმალავთ, პარიზში ახლახან დასრულებულ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს იმედის თვალით შევცქეროდით – ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა შემადგენლობა მართლაც უძლიერესი (ამ მომენტისთვის) შეარჩია, ჩვენი ბიჭების უმრავლესობას (ვაზაგაშვილი, რევაზიშვილი, ლიპარტელიანი, ჯიქურაული) ტიტულებიც არ აკლდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისევ ის „მცირედი დაგვაკლდა“. ისიც არ არის დასამალი, რომ ძირითადი იმედი მსუბუქ წონით კატეგორიებში მოასპარეზე ორ ძიუდოისტზე, ორ გიორგიზე, რევაზიშვილსა და ვაზაგაშვილზე (შესაბამისად 60 კგ და 65 კგ.) გვქონდა და თითქმის ასეც მოხდა. თითქმის, იმიტომ ვამბობთ, რომ ორივე მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა შინ – რევაზიშვილმა მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და შესაბამისად, ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო ვაზაგაშვილი ამჯერად ბრინჯაოს დასჯერდა. თუმცა, როგორც პარიზული „ბატალიების“ თვითმხილველნი ამტკიცებენ (და არა მარტო ქართველები), მსაჯების აშკარა მიკერძოება რომ არა, ვაზაგაშვილი ფინალში – აუცილებლად იჭიდავებდა და მერე კი, ვინ იცის, იქნებ მოგვეპოვებინა კიდეც ასე ნანატრი მსოფლიო ჩემპიონობა. სხვა წონით კატეგორიებში ჩვენმა ფალავნებმა ვერაფერს მიაღწიეს – ზოგი მათგანისათვის ასეთი მასშტაბური ასპარეზობა პირველი იყო და აუგის თქმაც, ცოტა არ იყოს, ძნელია. თუმცა, 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ სოსო ლიპარტელიანისგან, გულშემატკივარი, ისევე როგორც ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა, ალბათ, უკეთესი შედეგის ჩვენებას ელოდა. „დასამშვიდებელი“ ჩვენთვის კი ის ფაქტი გახლავთ, რომ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიყო, რაც, მსოფლიო ჩემპიონატის მასშტაბურობას თუ გავითვალისწინებთ, სულაც არ არის ურიგო შედეგი.

## ტესტი ქალებისათვის

# როგორი დიასახლისი ხართ?

**თავიდანვე შევნიშნავთ, რომ ზერმანელი ფსიქოლოგების მიერ შედგენილი ეს ტესტი როგორი „შინაური" (?!), ისე „ველური" (?!) დიასახლისებისათვის ერთნაირად ყოფილა განკუთვნილი...**

*1. თქვენი აზრით, ვის შეიძლებოდა ეთქვა, მამაკაცის გულისკენ მიმავალი გზა მის კუჭზე გადისო?*

ა) მზარეულს; ბ) ქირურგს; გ) აზრზე არა ვარ! მამაკაცის გულთან მიახლოებას პირადად სულ სხვა გზით ვცდილობ.

*2. ჩვეულებრივ, რა ზომებს მიმართავთ, როცა მდგომარეობის შეცვლის სურვილი გიჩნდებათ?*

ა) კიდევ ერთხელ ვთხოვდები; ბ) ემიგრაციაში მივდივარ; გ) ყველაზე უცნაურ ფერად ვღებავ მთელ ბინას, თანაც ამას უთუოდ მეუღლის დახმარებით ვაკეთებ;

*3. რეგულარულად უყურებთ თუ არა გადაცემებს კულინარიაზე?*

ა) არა. ამ დროს მე უკვე ბაზარში ვარ; ბ) არა. ამ დროს ჯერ კიდევ ლოგინში ვარ; გ) არა. მე ხომ მაინც ნებისმიერ კულინარზე უკეთესად ვამზადებ ყველაფერს.

*4. ყველაზე მეტი ხალისით სახლში რას აკეთებთ?*

ა) ვუყურებ ტელევიზორს; ბ) ვეხვეწები ლოთი ქმარს; გ) ვარემონტებ კომპიუტერს და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკას.

*5. რამდენს უნდა იღებდეს ქმარი, რომ თქვენნაირი ქალის შენახვა შეძლოს?*

ა) ეს კომერციული საიდუმლოებაა (რომ გავთქვა, მთელი მსოფლიოს რეკეტიორები ჩემთან მოიყრიან თავს); ბ) მამაკაცი, რომელიც ამდენ ხელფასს იღებს, ჯერ არ დაბადებულა; გ) რამდენიც არ უნდა აიღოს, მე მაინც მეტს ვხარჯავ...



*6. გეგმავთ თუ არა ოჯახის ბიუჯეტს?*

ა) აბა რა! ყველაფერი განსაკუთრებული სიზუსტით თანაც 2015 წლის ჩათვლით მაქვს გათვლილ-გაანგარიშებული; ბ) არც კი ვცდილობ, იმიტომ, რომ უშედეგოა. სახლში იმდენი ფული გვაქვს, რომ ფეხის დასაბიჯებელი ადგილიც კი აღარ გვრჩება, ფული კი მოდის და მოდის... გ) არც ვცდილობ. როგორც კი დაგეგმვას ვიწყებ, ბიუჯეტში მრავალმილიონიანი დეფიციტი იქმნება.

*8. რისთვის იყენებთ ცომის საბრტყელებელს?*

ა) ცომის გასაბრტყელებლად; ბ) შინ გვიან მოსული ქმრის ტვინის „დასარეგულირებლად"; გ) სამზარეულო კომბაინის „შესაკეთებლად".

*9. ჩვეულებრივ, ვის გააქვს თქვენს ოჯახში ნაგავი?*

ა)რა არის ნაგავი? ბ) რა თქმა უნდა, მე! ახლა ხომ ისეთი „ნაზი" ქმრები წამოვიდნენ, რომ იქნებ, წელიც მოწყვიტოთ ნაგვის გატანისას; გ) ერთი წლის წინათ ამის გაკეთება ჩემმა ქმარმა სცადა და მას შემდეგ უკან აღარ დაბრუნებულა. მართალი გითხრათ, ძალიან განვიცადე: ვედრო ხომ სულ ახალ-თახალი იყო!

*10. რას ეუბნებით ხოლმე მეუღლეს ჭამის წინ?*

ა) „მეგარგოს, ძვირფასო" (ცხადია, ხუმრობით) ბ) „მერე რა, რომ დამწვარია, – შენც აღექი და დამიმტკიცე, რომ ძალიან გიყვარვარ და მაინც შეჭამე"; გ) არ შეჭამ" მეც აიღებ ვი და დედაჩემს დავპატიჟებ!".

*11. რომელ წიგნს წაიღებდით უდაბურ კუნძულზე?*

ა) დედაჩემის სამზარეულო წიგნს და მამაჩემის სალაროს წიგნაკს; ბ) „ბურდას" კომპლექტს, სადაც პალმის ფოთლებისგან ბიკინების გამოსაჭრელი თარგებია მოცემული; გ) კაციჭამიების ენიდან თარგმნილ დეილ კარნეგის წიგნს „როგორ დავიმეგობროთ ველურები და მოვახდინოთ მათზე ზემოქმედება".

*12. თუ ბინის დალაგებისას შემთხვევით წააწყდით ქმრის მიერ გადანახულ ფულს, როგორ მოიქცევით?*

ა) ხელს არ ვახლებ (ცხადია, ხუმრობით); ბ) გამოვუქვითავ ყველა გადასახადს (მათ შორის შემოსავლის გადამალვისთვისაც. დანარჩენს კი, მართალია, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც უკან დავდებ; გ) მთელ თანხას ავიღებ, მეუღლეს კი წერილს დავუტოვებ: „გმადლობთ, ძვირფასო. მე ხომ ასე ძალიან მიყვარს სიურპრიზები!".

*12. თქვენ ორიდან რომელი იხდის რესტორნის, ტაქსის და ა.შ. ფულს?*

ა) რა თქმა უნდა, მე! თანაც – საკუთარი პრესტიჟის გულისთვის. ასე რომ, ხანდახან ზოგიერთებს იქეთ რჩება ჩემი ვალი; ბ) არც ერთი. მე გულისწასვლის სცენას ვთამაშობ და ორივე „სასწრაფოს" მანქანას მივყავართ; გ) იმდენად სულელი როდი ვარ, საკუთარ ქმართან რესტორნებში ვიარო...

**შედეგების შეფასება**

ყოველი სწორი პასუხისათვის თავადვე დაიწერეთ 2 ქულა, ყოველი ობიექტურისათვის – 1 ქულა, ყოველ პაგიოსან პასუხში კი 0 ქულა და კიდევ ჩვენს თანაგრძნობას უნდა დასჯერდეთ.

**თუ თქვენ 20 ქულაზე მეტი მოაგროვეთ,** მაშინ ნებისმიერ მამაკაცს მხოლოდ გულწრფელად შეშურდება თქვენი რჩეულისა. ამ ბედნიერს, დიდი ხანია არავითარი საზრუნავი აღარ აწუხებს. თქვენ ხომ იდეალური დიასახლისი ბრძანდებით.

**10-დან 20 ქულამდე:** თქვენ ულტრათანამედროვე საქმიანი ქალი ბრძანდებით! ამიტომ იმას, რომ ძალიან გიყვართ სადილების კეთება, რეცხვა და დალაგება, თქვენი ოჯახის წევრები მხოლოდ თქვენი მრავალრიცხოვანი ინტერვიუებით იგებენ, თქვენ რომ სამსახურიდან ბრუნდებით, მათ უკვე სძინავთ, ხოლო როცა ისინი მიდიან სახლიდან, თქვენ ჯერ კიდევ გძინავთ. ურთიერთობა ძირითადად წერილებით, ფაქსებითა და პეიჯერით გაქვთ. თქვენი შემხედვარე, ქმარი შეწუხებული ამბობს: „ნეტავ საყვარელი მაინც გაეჩინა, თორემ სულ საქმე და საქმე...".

**5-დან 10 ქულამდე:** თქვენ და თქვენი მეუღლე გამოუსწორებელი რომანტიკოსები ხართ!– კარავი, კოცონი, გიტარაზე დამღერებული სიმღერები – აი, თქვენი სტიქია. თქვენი ბინა ტურისტული მოწყობილობებით, კატებით, ძაღლებით, თუთიყუშებითა და... ბავშვებითაა სავსე. ამასთან ზუსტად აღარც კი გახსოვთ, ვისი არიან ეს უკანასკნელნი. და თუ მაინცდამაინც ყველა თქვენია – რამდენი არიან? თუმცა თქვენს სახლში მყოფ „ყოველივე ცოცხალთან" ძალზე მეგობრული დამოკიდებულება გაქვთ.

**0 ქულა:** რა თქმა უნდა, თქვენი ბრალი სულაც არ არის უვარგისი დიასახლისი რომ ბრძანდებით, თქვენი ქმარი კი ძირითადად საეჭვოდ გაფითრებული სოსისებითა და თქვენი საყვარელი ძაღლისთვის ჩუმ-ჩუმად მოპარული „პედიგრი პალით" იკვებება. არნახულად უაზროდ მფლანგველი ბრძანდებით, ამიტომაცაა, რომ თქვენს სახლში აბსოლუტურ გამოუსადეგარ არაერთ ნივთს აღმოაჩენს კაცი. ასეთია, მაგალითად, გიგანტური ჩინური საწოლი, რომლის დასადგმელადაც მარტო საძინებლის კი არა, სამზარეულოსა და ტუალეტის კედლების დანგრევაც დაგჭირდათ...

თქვენს მეგობარ ქალებს ნამდვილად ებრალებათ თქვენი ქმარი და ჩუმ-ჩუმად წესიერი სადილებით კვებავენ მას. ეს უკანასკნელი კი დამორჩილდა რა თავის ბედს, თქვენ, რბილად რომ ვთქვათ, „ექსტრავაგანტურს" გიწოდებთ და იქვე ერთსაც დასძენს: ;საერთოდ კი, ჩემი ცოლი არც თუ ურიგო ადამიანია...".

**ორშაბათი მძიმე დღეა – გაიღიმეთ!**

# „ჩემი სამშობლო, იმერეთი, სხვა თემატრია"




1991 წლის ზაფხულზე, სწორედ მაშინ, როცა ეროვნულ არჩევნებში გამარჯვებული პრეზიდენტის დასაცავად, თითქმის სრულიად საქართველომ მთავრობის სახლის წინ კარვები დასცა, როცა თითქმის მთელი ქვეყანა ერთგულებას ხატზე ეფიცებოდა და იმდროინდელ ქვეყნის მეთაურს, ცოლვა გამხეცილი სჯობს და ზესტაფონში ჩასულს, სხვა საუკუნეში ეგონებოდა თავი. ეროვნული ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. იყო ისევე ქუჩაში „გზებზე სუფრის გადაფენა" და ტრადიციული სადღეგრძელოები, თუმცა ლენინის, სტალინის, ბერიას, ორჯონიკიძის, მჟავანაძის და შევარდნაძის სადღეგრძელოებს, კიდევ ერთი „განსხვავებულით" სათქმელი, პრეზიდენტის სადღეგრძელოც დაემატა. ეს იყო და ეს ჩემი მეზობლების, „ეროვნულად მოძრაობის", ერთადერთი და მნიშვნელოვანი დეტალი.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დილას, როცა ჩემს მხიარულ მეზობლებს იქნებ, არც თუ მშვიდად, ისევ ეძინათ, ჩვენი სოფლის ფრიად „განათლებულმა" და ქვეყნის ბედით შეჭირვებულმა, ქალბატონმა ფოსტალიონმა არასასიამოვნო ხმით (ნამეტანი ყვიროდა) ერთ ადგილზე შეგროვება სთხოვა საზოგადოებას.

– რა უნდა ნეტა, მაგას გოუციელა მყვარებელი, იკითხა ერთ-ერთმა და ის იყო, ალბათ, გვერდი უნდა ექცაელა, ცოლი დაესხა თავს, გამიდი კაცო, შენ არ გეღირსება დღეის ამას იქით, იქცევა გონია ქვეყანა.

– იმ ქვეყნის დედა ვატირე ჩემი ძილი რომ დააქცევს, მარა ვიცი, მაინც არ დამაყენებთ და ჯანდაბას, გამოვალ, ვნახავ ერთი რა ღვთის წყრომა გვჭირს და რამ გადარია ამ დილაუთენია მაგ უპატრონო.

დაახლოებით ამგვარი დიალოგები იყო ყველა ოჯახში, ჩვენს გარდა, იმიტომ, რომ მე ჩემი მეგობარი ჟურნალისტები მყავდა თბილისიდან სტუმრად (თან ჩემი მშობლები სახლში არ იყვნენ). ბებიაჩემის ხვეწნა – მეღარის მიუხედავად „ბოვშვები არ გამიღვიძოთო", მეზობლებმა ჩვენს ჭიშკართან ბატონი ვლადიმერ აბულაძის დარგული საუკუნოვანი ძელქვის ჩრდილქვეშ მოიყარა თავი.

– ესენი არ არიან სახლში კი მარა, არაფერი ბაიბური რო არ ისმის? – იდეური დატვირთვით იკითხა ფოსტალიონმა და ყორეზე „ამოიჭლინკა".

– რა გინდა შენი ჭირიმე, მშვიდად შეეკითხა ბებიაჩემი და აუხსნა, ჩემ შვილიშვილს სტუმრები ჰყავს, თან ხო იცი, აქ აღარ ცხოვრობს და მაინც არაფერში გამოგადგება (ყვარყვარეს მონოლოგის არ იყოს ამისთანა მართალი არ უთქვამს ცხონებულს).

– გამეღვიყენეფ! – დაბეჯითებით განაცხადა ფოსტალიონმა.

შენ ქე გამეყვენეფ, მარა თითონ არ გამოგადგება და ტყვილა უნდა მეიშალო ნერვები – შეეხვეწა ბებიაჩემი.

– რავა არ გამომადგება შე ქალო, რო გადაჯდება იმ დაწირაკი ბოვშვების სამბორბლიან ველოსიპედზე და პრაწავს იმ თვალებს, ამისთვის უნდა ეცადოს იმხელა ქალს?! დაუძახე, დაუძახე და გევიგე ვინცხა ჟურნალისტებიც ყოლია, ისინიც გამეყვანოს, მაგენი მჭირდება სწორეთ.

– ჰე, ქალო, თქვი რაცხა გინდა და იმათ მე მოვუყვები მერე – ამაოდ გამომესარჩლა მეღული ბიცოლა.

– დედა, დევიღუპეთ, სიას კითხულობს, მგონია, შენი ფოსტალიონი და ქეორუმი თუ არ შედგა დეიშალა მიტინგი და მაგია – შეიცხადა ჩემმა გურულმა მეგობარმა.

– სიას ვინ დაეძებს აკადემიურმა მოსწრებამ თუ არ დააკმაყოფილა, მაშინ ხარ ცოლვა, – ვუთხარი და „გავხედე მტერსა და მოყვარეს".

– რა ხდება, ქალბატონო, ხმათა უმრავლესობის მიუხედავად მაინც რომ გვიხმეთ?! – ვკითხე ფოსტალიონს და დიდი გაჭირვებით შეკრებილ და მცირეოდენი ცნობისმოყვარეობით აღჭურვილ საზოგადოებას შევუერთდი.

– რავა რა იყო, მამიდა, ჩამოხვალ განათლებული ქალი, დაიწყებ იმ ნარდის ხრიგინს და შენი და შენი სულელი ნათლიების წყალობით, საჩინო ფუტკარაძის სახლიდან დილიკოურის გადასახვევამდე, ჭინკის სასწაულივით, ლეჩქეპის რო არ შეარჩენი თხილს და ერთ გახეპვა ნაყოფს – ტყემალს, ქე ხარ შენ უკვე იმხელა, ცოტათი მაინც შეგაწუხოს ქვეყნის ბედმა. არ გაგიგონია, „არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს-ო" ?!

– როის იყო ნეტა კვტარი თხილს და ტყემალს ჭამდა, ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ მაგი ცოცხალია. რაც შეეხება ნარდს, რა დააშავა ამ უწყინარმა ნივთმა და ყველაფერს რო თავი დავანებოთ, ვინ გაზუქა მეშვიდე კლასის ქრესტომათია?! სიტყვით გამოვიდა ჩემი უბნის ახალგაზრდობის ლიდერი „ზორო".

– შენ ენა ჩეიგდე შე შტერო, შენთვინ არავის დოუძახებია და თუ გინდა, წაეთრიე, რეპლიკის ავტორი „გაათავისუფლა" ფოსტალიონმა და ხელში ჩაგდებულ აუდიტორიას გაურკვეველი, ქვეტექსტებით გაძეძგილი მზერა სტყორცნა.

– რეგლამენტი, რეგლამენტი! – შეახსენეს აქეთ იქიდან და აუუსტყდნენ.

და, რადგან ჩვენმა განათლებულმა ფოსტალიონმა, დღის წესრიგის პირველი საკითხი (ჩემი ყოფა-ქცევის განხილვა) დიდი წარმატებით ამოწურა, მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას შეუდგა.

– ვიცი, არ გაცოდინებათ, ან საიდან უნდა იცოდეთ, გაზეთს თქვენ არ კითხულობთ და ტელევიზორში ცეკვა-თამაშის მეტს არაფერს უყურებთ. ჰოდა, დიდი ამბავი ხდება თბილისში, ამას ეს ბოშებიც დამიმოწმებენ. ოპოზიციისაგან პრეზიდენტის დასაცავად საქართველოს ყველა კუთხიდან ავტობუსებით ჩადის ხალხი. მე ვიცი, თქვენ ამისთვინ თავს არ შეიწუხებთ და რო არ გამოუსხტეთ სოფელ-ქვეყანას, პრეზიდენტის მხარდამჭერთა სიების შედგენა გადავწყვიტეთ – თქვა და ლიდერის სიამაყით გამოგვხედა.

– ეპ, შენ გაგახარა ღმერთმა, ომი დეიწყო მეგონა, უთხრა ერთმა და სიაში პირველობის არადაკარგვის სურვილით საწერ-კალამი მოიძია.

– ომი რომ ყოფილიყო, ჭიჭიკო ბიძია, ჩემს საკითხს აღგილს მოუნაცვლებდა – მეთქი, ვთქვი და დაეჭვებულ საზოგადოებაზე კიდევ უფრო დაეჭვებულ ფოსტალიონს ვკითხე, იქნებ არ ვუჭერთ მხარს პრეზიდენტს?!

– ხო, ხო, იქნება არ გვინდა მოვაწეროთ ხელი, – პოზიცია გამიმაგრა ქვეყნის „არევით" გამწყრალმა ნათლიაჩემმა.

– რაიო-ო?! შეხტა და შეკვნესვიალდა ფოსტალიონი, რავა თუ ხელს არ მოაწერთ და პრეზიდენტს არ დაიცავთ. ვაი თქვენს პატრონს, თქვენ დაგეხსათ თავსხლაფი. რავარც შენ (მე მომიბრუნდა), განათლების არაფელი გეცხოს. შენ უნდა ცხოვრობდე თავისუფალ საქართველოში? შენ უნდა იყო ქართველი? შენ უნდა იყო სერბიელი ან კამპუჩიელი და მოზამბიკში უნდა ცხოვრობდე გეოპოლიტიკური განათლება და რისხვა დამატეხა ფოსტალიონმა, ქალაქი, ქუჩა და სახლის ნომერი აღარ დაუკონკრეტებია.

– რავა ავზნიანივით ყიჟიხარ და ყრი ღუჟებს, ისე შეგეკითხეთ, რა მოხდება ხელი რო არ მოვაწეროთ-თქვა, – მთლად ხანჯალზე გაისვა ხელი ნათლიაჩემმა და თუმცა, არ სურდა, პოზიცია დათმო.

– რა მოხდება და– გააგრძელა ფოსტალიონმა ჩვენი პოლიტგანათლება, – პრეზიდენტს, იმის სახელს შამეველე, მაინც ვერაფერს დააკლებენ, პატარა ხანში წამეიღებს წელს, გამაგრდება, მეიცლის ამ სიების წასაკითხად და ვინც არ იქნებით შიგ, რო მოგაყენებენ კედელთან, მერე გაგახსენდებით, მარა ნაკლებათ გქონდეთ ჩემი იმედი. იმას კი არ ვიტყვი სახში არ იყვნენ თქვა, ვიტყვი ხელი რო არ მოაწერეთ.

– რა ვქნა ახლა, მთელი საზოგადოება მე შემომიცქერის. არა, კედელთან მიყენება არ მანადღელებს, ეს საუკეთესო ვარიანტია, რასაც ამათგან უნდა ელოდე, თუმცა არც პრეზიდენტის საწინააღმდეგო მაქვს რამე... როგორმე „ჭკვიანურად" უნდა მოვიქცე-მეთქი ვიფიქრე და მეტი რომ ვერაფერი მოვიგონე, ყინჩად მდგომ ლიდერ-ფოსტალიონს შევეკითხე: „ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი ჩემო ქალბატონო, მაგრამ ასე თავგამოდებით რომ იცავთ პრეზიდენტს, იცით, კი ვინ არის, რა კაცია, რა ტვინი აქვს, იქნებ, პრეზიდენტობაზე მეტს იმსახურებს, იქნებ, პრეზიდენტად მისი მოცდენა სადოდაობაცაა, იქნება სულაც გიჟია და ქვას ისვრის. ძალიან მაინტერესებს, რამდენად იცნობთ მის პერსონას".

ფოსტალიონმა, რომელიც აშკარად ვერ მიხვდა, სათი ვუმზნებდი, სულგანაბულ „პუბლიკას" კიდევ ერთხელ გადახედა მრისხანედ და წამში შემუშავებული სტრატეგიული გეგმა „დაგვამსხვრია თავზე".

– მე ვიცი, რომ ის ღმერთის რჩეულია, არა, რჩეულთა შორის რჩეული. ვიცი, რომ უნდა დავმორჩილდე მის ნება-სურვილს, ნეტა ქე რამეს ინატრებდეს (ამოიოხრა და უმნიშვნელო პაუზის შემდეგ განაგრძო).

— მე რომ მიყურებთ, ამხელა ქალმა არჩევნებზე, თლქში, ჩუმად და შიშისფეთებით მევიპარე მისი სურათი, გამეეკარი სახლში და რავარც ცოცხალს და ნამდვილს ისე ვექცევი.

– ის რავა გექცევა თითონ! – კითხვა შეაწია ერთმა მსმენელთაგანმა. ფოსტალიონი ისე იყო თხრობით გართული, კიდევ კარგი, არ გაუგონია თორემ სისხლი დაიღვრებოდა. მაგრამ ვერ გაიგო და ოცნებაში წასულმა გააგრძელა – სადამოს, რო ვიხდი და ვწვები შკაფის უკან ვიმალები და ისე ვიცვამ პერანგს, ისე მერიდება, იმას შამეველე.

– ამაღელვებელ ნოტზე დაამთავრა მონოლოგი ფოსტალიონმა, გადავხედე ჩემს მეზობლებს და იმათი ცოლვით დავიწვი, ძლივს მალავდნენ შეკავებული სიცილის ცრემლებს.

შემდეგ ერთმა ვერ მოითმინა და უთხრა, ქალო, პრეზიდენტი, რომ გიყვარს და სამშობლოც, ამას რა სჯობია, მაგრამ პრეზიდენტის მაგიერათ მამაშენის, მინაგის სურათი ჩამოეკიდებია, არ ჯობდა?! – ეს იყო და ველარ შეკავებულმა სიცილ-ხარხარმა დააყრუა იქაურობა.

მიხვდა ქალბატონი ფოსტალიონი, არ ღირს ამათთან ლაპარაკი და სხვა უბანში გაიქცა ჩვენი ლანძღვითა და წყევლა კრულვით.

– რა ვქნათ „რევოლუციონერ", ნარდი ხომ არ გვეთამაშა?! – მითხრა „ზორომ" და ის იყო ჩემპიონატის ცხრილი შევადგინეთ, რომ ჯერ კიდევ არდაშლილ მეზობლებს განრისხებული დედაჩემი შემოუვარდა! – რა იყოთ, რა დაგემართათ კი მარა, მოგეწერათ ხელი იმ დასაწვავ სიებზე, რას გადარიეთ ის ქალი, რომ ვიკლო ქვეყანა ჩვენი წყევლით?! დაკითხვის კორიანტელი დააყენა და პასუხად ჩემგან ჩამოგდებული „ბუნტის" – ამბავი რომ შეიტყო მთლად გადირია:



– გაგიჟდით ხალხო? მხეცებს და პირუტყვებს ზრდიან. მეც გავზარდე და ჩემს უმისოდ ჭუკი, წიწილი და გოჭი არ გეიფაჩუნებს ჩემს ეზოში, ამის გაზრდას ხო არ დაადგა საშველი. ...ეს რატომ გამიჩნდა, არ ააყენა ამ დილას ის საწყალი ქალი? – თქვა და ის იყო ფიზიკური დასჯის ზომები უნდა მიეღო, რომ ღვთის წყალობასავით მოულოდნელად, მამაჩემი ჩაგვიხტა შუაში, ამბრაზურასავით გადამეფარა და დედაჩემს შეუტია: იმ სულელის სიტყვაზე მიკლავ შვილს?! ხელი არ მოკიდო ბოვშვს, თუ არა, ჯერ შენ მოგკლავ, მერე იმ ფოსტალიონს და დარჩებით უგაზეთოდ".

დედაჩემი უცებ მოეგო გონს, ჩემი სტუმრებიც გაახსენდა და მამაჩემის „სცენიურობით" ახარხარებულ მეზობლებს ჰკითხა:

– თქვენ რას იკრიჭებით და რა გაცინებთ, თქვე უბედურებო, ამ სულელების აყოლა გარგიათ?! იცინეთ, ხო, იცინეთ და რა ცეცხლს და ნავის დალევთ ამ ზამთარში, რა შავი ჭირით გააკეთებთ ღვინოს, გიყურებთ ერთი. ფოსტალიონმა თქვა, ვინც ხელს მოაწერდა თითო „მეშოკ" შაქარს ურიგებდნენო, თითონ როგორც სიების შემგროვებლებს, ორს პირდებოდნენ თურმე და იყავით ახლა ისეთ...

ეს მართლა რა გიქნია, შე სულელო, მითხრეს და ისე რომ მეტი აღარ უჯავრიათ, ნარდის სათამაშოდ ჩვენს აივანზე ამოინაცვლეს...

ეს იყო და ეს, ასე დაიწყო და დამთავრდა ეროვნული მოძრაობა ჩემს სოფელში.

**ია მაჭავარიანი**



**თარაზულად:** 4. ქოქოსის კაკლის გული, რომლისგანაც ზეთს იღებენ; 6. დედოფალა; 8. მიცემითი ბრუნვა (გრამატიკაში); 9. ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი; 12. მაღალი ტონის მქონე ხის ჩასაბერი საკრავი; 14. სახელდახელოდ თქმული ლექსი, ექსპრომტად; 15. ფრანგი კინომსახიობი ქალი; 19. იალქნის დასამაგრებელი მაღალი ძელი გემზე; 20. მაგარი, სპირტიანი სასმელი; 21. საქართველოს ფულის ერთეული; 22. წარმოება, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც სისტემატურ დახმარებას უწევს რაიმე კოლექტივს; 25. პატარა საგუშაგო რაზმი; 27. ფრანგი ფეხბურთელი: 28. რეჟისორ ტ.კოტეტიშვილის ფილმი; 32. ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა ჩვენება, დათვალიერება; 33. ციხესიმაგრე რუსეთის ძველ ქალაქებში; 34. დროის, ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 35. ამერიკელი კინომსახიობი და მანეკენი ქალი.

**შვეულად:** 1. იტალიელი მწერალი; 2. მსახიობი; 3. კორდებალეტის მთავარი მსახიობი; 5. მარცხი; 7. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების სოფელი; 8. ძიუდოისტების ოსტატობის ხარისხი იაპონიაში; 10. ტიპობრივი ნიმუში; 11. რუპორიანი აპარატი, რომელიც გადმოსცემს სპეციალურ მრგვალ ფირფიტაზე მექანიკურად ჩაწერილ ხმას. 13. გასანათებელი პატრუქიანი ჭურჭელი; 16. ყვავილების მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 17. ევროპის სახელმწიფო; 18. გულის ქინძისთავი; 23. ადამიანის ან ცხოველის პატარა ქანდაკება; 24. ალპინისტების გადასვლა მარშრუტით, რომელიც გადის მთაგრეხილის თხემზე და მოიცავს რამდენიმე მწვერვალს; 26. პატარა რესტორანი ესტრადითურთ; 29. ნიშანი, მეთემატიკაში, რომელიც აღნიშნავს გამოკლებას ან უარყოფით სიდიდეს; 30. ძუაგაბმული ჯოხი, რომლის გასმითაც ზოგი საკრავის სიმებს ახმიანებენ; 31. სახელმწიფო ტერიტორიის ადმინისტრაციული პოლიტიკური, სამეურნეო, სამხედრო და სხვა ერთეული.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა**

გვერდი მოამზადა **რუსუდან ლებანიძემ**